# მასწავლებელი

## კლასის მართვა

## მაძიებლობის წესი

## ელექტრონული სასწავლო რესურსები


საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი

N5, 2010

ISSN 1987-6149



ჟურნალი

# მასწავლებელი

აგრძელებს კონკურსს საუკეთესო პროექტზე

# „მასწავლებლის სახლი ჩემს ქალაქში“

**ჩაერთეთ** კონკურსში!

**გაგვიზიარეთ** თქვენი გამოცდილება!

**გამოგვიგზავნეთ** პროექტის გეგმა

საუკეთესო პროექტის ავტორები საჩუქრად მიიღებენ
**ჟურნალ „მასწავლებლის“ ერთწლიან ხელმოწერას** და **მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის გამოცემების სრულ კომპლექტს!**

კონკურსის დასკვნით ეტაპზე სამი საუკეთესო პროექტი გამოვლინდება.
პროექტის გეგმები ჟურნალ „მასწავლებლის“ მომდევნო ნომრებში დაიბეჭდება!

**საკონკურსო მასალა მოგვაწოდეთ ქვემოთ მითითებულ მისამართზე ან გამოაგზავნეთ ელ.ფოსტის საშუალებით:**


მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი
თბილისი 0102, დიმიტრი უზნაძის 52, ტელ: (+995 32) 95 13 95, ფაქსი: (+995 32) 95 58 36
ელ. ფოსტით: info@tpdc.ge

www.tpdc.ge

# რედაქტორისგან

ჩვენმა მასწავლებლებმა თანამედროვეობის გამოწვევას უპასუხეს: მათ საგნობრივი და პროფესიული უნარ-ჩვევების გამოცდა ჩააბარეს და დღეს 1359 სერტიფიცირებული მასწავლელებელი გვყავს.

მათთან ერთად ჩვენც ვღელავდით და საბოლოო შედეგებს ველოდით. წარმტებას ერთმანეთს ვულოცავდით. სიამაყე და სიხარული გადამდები აღმოჩნდა.

როცა განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა სერტიფიცირებულ მასწავლებელს, რომელსაც ყველაზე მაღალი ქულები ჰქონდა, მასწავლებლის დღე მიულოცა და საჩუქრები გადასცა, აღმოვაჩინე, რომ ის მასწავლებელი ჩემი ნაცნობი, მეტიც, ახლობელია. მას, როგორც საინტერესო პოეტს, ისე ვიცნობდი. არადა, ამავე დროს საუკეთესო მასწავლებელი ყოფილა. სიამაყით დავდიოდი სამსახურის ოთახებში და ყველას ვუყვებოდი, როგორი მაგარი გოგოა ნინო ქევხიშვილი.

ჟურნალის ამ ნომრის სტუმარი მოაზროვნე გიორგი ბაქრაძეა. მასთან ინტერვიუს ჩაწერისას, ვფიქრობდი: როცა გიორგის მისი მასწავლებლები ტელევიზიით ხედავენ ან ქუჩაში ხვდებიან, ალბათ სიამაყით ამბობენ: „ჩვენი გაზრდილია“, „ფიზიკას მე ვასწავლდი“, „მახსოვს, გიორგის როგორ უყვარდა მათემატიკა“ და ა.შ.

განათლების რეფორმა გრძელვადიანი პროცესია. ჩვენ კი გვსურს, სასურველი შედეგი, რაც შეიძლება, სწრაფად მივიღოთ. არადა, ის, რასაც ახლა ვფიქრობთ და ვახორციელებთ, წლების შემდეგ შედეგს აუცილებლად გამოიღებს.

მასწავლებლობა მარტივი არ არის. გავეთილზე თითეული ბავშვის იმედი და მოლოდინი უნდა გაამართლო და დააჯერო, რომ სწავლა და სწავლების პროცესი სიამოვნებაა და ცოდნა ყველაზე დიდი მონაპოვარი.

ჟურნალი „მასწავლებელი“, ისევ ცდილობს ამ რთულ და საინტერესო გზაზე თქვენთან იყოს. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ ჩატარებულმა კვლევამ გვაჩვენა, რომ ჟურნალი „მასწავლებელი“ გამოკითხულ მასწავლებელთა 75%-სთვის მნიშვნელოვანია, როგორც დამხმარე სასწავლო რესურსი. ჩვენ გვინდა, ის თითოეული თქვენგანისთვის საჭირო გავხადოთ. ამისთვის, კიდევ ერთხელ შეგახსენებთ, რომ აუცილებლად უნდა ვითანამშრომლოთ.

ნატო ინგოროყვა
*მთავარი რედაქტორი*

ჩვენი მიზანია მასწავლებლის პროფესიული ზრდის ხელშეწყობა ინფორმირების, დისკუსიის წახალისებისა და გამოცდილების გაზიარების გზით. ჟურნალი ხელს უწყობს მასწავლებლის პროფესიის პოპულარიზაციას.


# მასწავლებელი

N5(11), 2010

**მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის გამოცემა**

**პროფესიული ჟურნალი „მასწავლებელი“ გამოდის ორ თვეში ერთხელ**

**ჟურნალი „მასწავლებელი“ საქართველოს ყველა სკოლაში უფასოდ რიგდება და ხელმისაწვდომია თითოეული მასწავლებლისთვის!**

**მოიკითხეთ ჟურნალი თქვენს სკოლაში.**



**რედკოლეგია:**
გია მამულაშვილი, ნინო რევიშვილი, თეა კვინტრაძე, ნათია ნაცვლიშვილი, ეკა ჯელაძე

**მთავარი რედაქტორი:**
**ნატო ინგოროყვა**

**რედაქტორი:** ირაკლი კაკაბაძე
**სტილისტი:** ირმა ტაველიძე
**დიზაინი:** ბესიკ დანელია
**ფოტო:** გელა ბედიანაშვილი
**მხატვარი:** მამუკა ტყეშელაშვილი
**კორექტორი:** მაია მენაგდე

**ჟურნალისტები:**
გელა ჩეკურიშვილი, ირმა კახურაშვილი, მაია რაზმაძე, თამარ კაციტაძე, თამარ შველიძე

ჟურნალში გამოქვეყნებულ პუბლიკაციებში გამოთქმული ზოგიერთი მოსაზრება, შესაძლოა, არ ემთხვეოდეს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის და „მასწავლებლის“ რედკოლეგიის შეხედულებებს. ცალკეულ სტატიაში დასახელებული ფაქტების უტყუარობაზე პასუხისმგებელია სტატიის ავტორი.



**საკონტაქტო ინფორმაცია:**
მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი
მისამართი: თბილისი, 0102
დიმიტრი უზნაძის 52
ტელ: (+995 32) 95 13 95
ფაქსი: (+995 32) 95 58 36
ელ. ფოსტა: info@tpdc.ge

www.tpdc.ge



ISSN 1987-6149 UDC 371.1 / მ-374



**გამოიწერეთ პროფესიული ჟურნალი**
**მასწავლებელი**

**დარეკეთ:**
**შპს „წიგნის სამყარო“: 45 33 79**
**სს. „მაცნე“: 37 47 49, 22 64 58**
**„ელვა-სერვისი“: 38 26 73, 28 26 74**

# შინაარსი

# სტატიები


ექსპერტი

**თეო ნეფარიძე**

4 **კლასის მართვის სტრატეგიები**

რატომ არის მნიშვნელოვანი კლასის მართვა, რას გულისხმობს ის და როგორაა მიღწევადი სასწავლო პროცესისა და გარემოს ჰარმონიულად კოორდინაცია და მოსწავლეთა ქცევის ტიპების მიუხედავად, სასწავლო პროცესში მაქსიმალური წარმატების მიღწევა.

**გაია ახალაია**

8 **სკოლისა და ოჯახის თანამშრომლობა**

ბავშვის აღზრდა და ხარისხიანი განათლება ისეთ მნიშვნელოვან საკითხს უკავშირდება, როგორიცაა სკოლისა და მშობლის თანამშრომლობა.

**ანა ჯანელიძე**

11 **ქცევითი პრობლემები ბავშვებსა და მოზარდებში**

ბავშვებსა და მოზარდებში ქცევით პრობლემებს მრავალი თავისებურება ახასიათებს. ზოგიერთი მათგანი ქცევით პრობლემებთან ერთად ჩნდება, სხვები კი, რიგ შემთხვევებში, შესაძლოა, პრობლემური ქცევის მიზეზად ან შედეგად მოგვევლინოს.

**მერაბ ლაბაძე**

15 **ელექტრონული სასწავლო რესურსები**

ინტერნეტი სულ უფრო მეტად ხდება სამუშაო, სასწავლო თუ ტრენინგ გარემოს განუყოფელი ნაწილი. ამ გარემოში სხვადასხვა შინაარსისა და ხასიათის ინფორმაციას მომხმარებელიც განსხვავებული ჰყავს. ინტერნეტში განთავსებადი სასწავლო ხასიათის რესურსები სულ უფრო მრავალფეროვანი ხდება.

**ქეთევან ქობალია**

19 **ბავშვი, სკოლა და ჯანსაღი ცხოვრების წესი**

ფიზიკური განვითარების ახალი, თანამედროვე სისტემის შესაქმნელად სახელმწიფოებრივი ზრუნვა, განსაკუთრებული პოლიტიკური ნებაა საჭირო. ყველა პირობა უნდა შეიქმნას სპორტში ბავშვთა და მოზარდთა მასობრივი ჩაბმისა და ახალგაზრდა თაობის ჯანმრთელობის განმტკიცებისთვის.

**თეა შავერდაშვილი**

22 **განათლება საფრანგეთში**

საფრანგეთის განათლების სამინისტრო დეტალურად განიხილავს თითოეული საფეხურის სასწავლო პროგრამებსა და პედაგოგიურ მიმართულებებს, ასევე, უზრუნველყოფს მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებას და მათ შერჩევას სხვადასხვა სასწავლო დაწესებულებაში დასასაქმებლად.

**ალექსანდრე გიორგიძე**

31 **ყოფაქცევა და მასწავლებელი**

დღეს მოზარდის აზროვნება უფრო კრიტიკულია. გაზრდილია პრაგმატული მიდგომა. ისინი ხშირად გვეკითხებიან, თუ რატომ სწავლობენ ამა თუ იმ საგანს ან საგნის რომელიმე ნაწილს.

ნოვაცია

**თამუნა კაციტაძე**

51 **პროფესიული განათლების რეფორმა საქართველოში**

პროფესიულ განათლებასთან მიმართებაში სახელმწიფო პოლიტიკა მკვეთრად შეიცვალა. ახალი ხედვის თანახმად, აუცილებელი გახდა პროფესიული განათლების ორიენტირება შრომის ბაზარზე, დამსაქმებლების მოთხოვნებისა და საერთაშორისო გამოცდილების შესაბამისი პროფესიული სტანდარტების შემუშავება, ახალი საგანმანათლებლო პროგრამების დანერგვა, პროფესიული სასწავლებლების ინსტიტუციური განვითარება.

# კლასი

 პრაქტიკული დანართი მასწავლებლებისათვის


**მასწავლებლობის მაძიებელთა რეგისტრაციისა და მაძიებლობის პერიოდის გავლის წესი**

25-30


# რუბრიკები


ინტერვიუ

**თამუნა კაციტაძე**

34 **სასწავლო გეგმები და სიახლეები**

ეროვნული სასწავლო გეგმის მიზანია, შეიქმნას ისეთი განათლების სისტემა, რომელიც მომავალ თაობას თვითრეალიზების საშუალებას მისცემს. ეს არის ყველაზე მნიშვნელოვანი. მაგრამ მარტო სასწავლო გეგმა ამ პრობლემას ვერ მოაგვარებს, რადგან ეს არის ფუნდამენტი, რომელზეც უნდა დაშენდეს სასწავლო მასალები, სახელმძღვანელოები... ძალიან მნიშვნელოვანია პედაგოგების კვალიფიკაცია, მათი მოტივაცია, თანამედროვე მეთოდოლოგიებით უზრუნველყოფა.

მრგვალი მაგიდა

**ირმა კახურაშვილი**

37 **დირექტორის სტანდარტი**

ახლო მომავალში სკოლის დირექტორებს ახალი ნორმატიული დოკუმენტის — სკოლის დირექტორის ეროვნული სტანდარტის გაცნობა მოუწევთ. დოკუმენტი მკაფიოდ განსაზღვრავს სკოლის დირექტორის უფლება-მოვალეობებს, რომელთა შორისაა: სკოლის ორგანიზება, სასწავლო პროცესის მართვა, მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვა, ანგარიშვალდებულების სისტემის გამართულად მუშაობა, მშობლებთან და საზოგადოებასთან ურთიერთობა და სხვა.

ჩვენი პროექტები

**თამარ შველიძე**

41 **ასწავლე საქართველოსთვის**

სახელმწიფო პროგრამა „ასწავლე საქართველოსთვის“ უკვე ხორციელდება 9 მაღალმთიან რეგიონში და სამომავლოდ, როგორც პროგრამის კოორდინატორი ნინო მაისურაძე აცხადებს, ის უფრო მასშტაბურ ხასიათს მიიღებს.

**ბელა ჩეკურიშვილი**

43 **ქართული, როგორც მეორე ენა**

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულმა ცენტრმა, საქართველოს პრეზიდენტის ინიციტივით, პროგრამის განხორციელება დაიწყო ეთნიკური უმცირესობებით დასახლებული სოფლების იმ სკოლებში, სადაც ქართული ენის ცოდნისა და სწავლების საკითხი განსაკუთრებით მწვავედ დგას.

**ბელა ჩეკურიშვილი, ეკა ჯელაძე**

45 **ისწავლე და ასწავლე საქართველოსთვის**

პროექტი „ისწავლე და ასწავლე საქართველოსთან ერთად“, რომელიც საჯარო სკოლებში ინგლისურენოვანი გარემოს შესაქმნელად 1000 უცხოელი მასწავლებლის ჩამოყვანას გულისხმობს, მიმდინარე სასწავლო წელს დაიწყო და საქართველოს რეგიონებში ეტაპობრივად ხორციელდება.

რესურსი

**ნათია ნაცვლიშვილი**

47 **კითხვის ეფექტური მეთოდები**

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი აგრძელებს მასწავლებლების უზრუნველყოფას დამხმარე მეთოდური მასალით. აღნიშნული მასალა წარმოადგენს არა მხოლოდ პროფესიულ ლიტერატურას, არამედ აუდიო და ვიდეორესურსსაც, რომელიც საქართველოს ყველა საჯარო სკოლას 2-2 ეგზემპლარად უსასყიდლოდ გადაეცემა.

სტუმარი

**ნატო ინგოროყვა**

49 **მთავარი მაინც ბავშვების სიყვარულია**

ჟურნალ „მასწავლებლის“ სტუმარია მოაზროვნე გიორგი ბაქრაძე. „მთავარი კითხვა მაინც ისაა, რომ სანამ მასწავლებლობას გადაწყვეტ, საკუთარ თავს უნდა ჰკითხო: გიყვარს თუ არა ბავშვები, და პასუხი, რა თქმა უნდა, უნდა იყოს: დიახ, მე მიყვარს ბავშვები“.

პრობლემა

**ნინო რევიშვილი**

53 **ვაუჩერული პროგრამა წიგნიერებისთვის**

მკვლევარები თანხმდებიან, რომ წიგნიერების დონეს მხოლოდ ის ფაქტორი არ განსაზღვრავს, თუ რამდენი წელი გაატარა ბავშვმა სკოლაში. საგანმანათლებლო დაწესებულებაში გატარებული წლების რაოდენობაზე მეტად, ის გააზრებული კითხვის უნარის გამომუშავების ხარისხზეა დამოკიდებული.

პორტრეტი

**მაია რაზმაძე**

55 **დირექტორი საკუთარ სკოლაში**

„მასწავლებლის“ სტუმარია სურამის მეორე საჯარო სკოლის დირექტორი მიხეილ გიორგაძე, რომელმაც ახლახანს სკოლის პედაგოგებთან ერთად კიდევ ერთი – მასწავლებელთა სასერტიფიკაციო გამოცდა ჩააბარა წარმატებით.

თეო ნეფარიძე

# კლასის მართვის სტრატეგიები

**კლასის მართვის ცნება განათლების, სწავლისა და სწავლების ფსიქოლოგიაში ორგვარი – ვიწრო და ფართო – გაგებით განიხილება. კლასის მართვის ვიწრო გაგება ძირითად აქცენტს მოსწავლეთა ქცევის ფორმებსა და დისციპლინაზე აკეთებს. კლასის მართვა, ფართო გაგებით, სასწავლო პროცესისა და გარემოს ჰარმონიულად კოორდინაციას და მოსწავლეთა ქცევის ტიპების მიუხედავად, სასწავლო პროცესში მაქსიმალური წარმატების მიღწევას გულისხმობს.**

> **საშუალო დონის მასწავლებელი მოგვითხრობს, კარგი მასწავლებელი გვიხსნის, პროფესიონალი მასწავლებელი გვიჩვენებს, საუკეთესო მასწავლებელი კი შემოქმედებით ინტერესს გვიღვიძებს“, – უთქვამს ამერიკელ პუბლიცისტს უილიამ არტურ ვორდს.**

## რატომ არის მნიშვნელოვანი კლასის ეფექტურად მართვა?

თუ კლასის მართვის ფართო გაგებას გავიზიარებთ, კლასის მართვის ეფექტური სტრატეგიების დაუფლების მნიშვნელობაც გაიზრდება, რადგან ის აკადემიურ შედეგებს მჭიდროდ უკავშირდება. კლასის მართვის ტექნიკის ფლობა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია რამდენიმე მიზეზის გამო.

პირველ რიგში, უნდა გავაცნობიეროთ ის ფაქტი, რომ მასწავლებელი ვერასდროს შეძლებს კლასში მიმდინარე პროცესების სრულად პროგნოზირებას. დეტალურად დაგეგმილი გაკვეთილი, შესაძლოა, მოულოდნელად იმ დღისთვის სრულიად შეუსაბამო აღმოჩნდეს და მასწავლებლის წინაშე იმპროვიზების აუცილებლობა დადგეს. გაკვეთილის პროცესი, შესაძლოა, სტუმრების ან დირექტორის შემოსვლის გამო უეცრად შეწყდეს და ა.შ. ამგვარი გარემოებანი გაკვეთილის მიმდინარეობასა და მოსწავლეების ქცევაზე დიდ გავლენას ახდენს, მასწავლებლის მხრიდან კი მანევრირების უნარს მოითხოვს, რათა სასწავლო პროცესი დაუბრკოლებლად და თანმიმდევრულად გაგრძელდეს.

ასევე, გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ კლასში თითოეული მოსწავლე განსხვავებულად სწავლობს. მაშინაც კი, როცა გაკვეთილზე ყველა ერთნაირი ინტერესითაა ჩართული მასწავლებლის მიერ მიცემულ დავალებაში, პედაგოგის მხრიდან ყურადღების მოდუნება დაუშვებელია. ერთსა და იმავე დავალებაზე მუშაობის პროცესში, შესაძლოა, ზოგიერთ მოსწავლეს რომელიმე ამოცანის ამოხსნა გაუჭირდეს (სხვადასხვა მიზეზის გამო), ზოგიერთმა მოსწავლემ კი სწრაფად გაართვას თავი დავალებას და უსაქმოდ იჯდეს მასწავლებლის შემდგომი ინსტრუქციის მოლოდინში. პედაგოგს ყველა ამგვარი გარემოების გამოვლენა და გათვალისწინება მოეთხოვება დისციპლინის პრობლემების პრევენციის მიზნით.

და ბოლოს, ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორი, რაც კლასის მართვის მნიშვნელობას ზრდის, ის გახლავთ, რომ საშუალო განათლება მოზარდებისთვის სავალდებულოა და არა არჩევითი. ამის გამო მოსწავლეებს განსხვავებული მოტივაციები აქვთ. მათი მოტივირების ხელშემწყობი ფაქტორები კი პოზიტიური სასწავლო გარემოს შექმნა და კლასისა და

სასწავლო პროცესის ეფექტური მენეჯმენტია.

## კლასის მართვის პრინციპები და მოდელები

განათლების ფსიქოლოგი ბროფი კლასის ეფექტურად მართვის სამ პრინციპს გამოყოფს: 1. მასწავლებელმა საკუთარ თავზე უნდა აიღოს კლასის კონტროლის პასუხისმგებლობა; 2. მასწავლებელს ჩამოყალიბებული უნდა ჰქონდეს პრობლემების გადაჭრის გრძელვადიანი გეგმა; 3. მასწავლებელს უნდა შეეძლოს მოსწავლეების მხრიდან მიუღებელი ქცევის მიზეზების დადგენა.

ბროფი კლასის მართვის სამ მოდელს გამოყოფს:

- ბიჰევიორისტული;
- კოგნიტური;
- პიროვნული/პროსოციალური ან ჰუმანისტური.

კლასის მართვის ბიჰევიორისტული მოდელი ტრადიციული მოდელია და მოსწავლის ქცევის მართვაზეა ორიენტირებული. მისთვის ამოსავალი წერტილი მოსწავლის ქცევა და მასწავლებლის რეაქციაა. ეს მოდელი მასწავლებლის მიერ მოსწავლეებისთვის ქცევასთან დაკავშირებული მოლოდინების გაცნობით, ქცევის მონიტორინგით, არასწორი ქცევის კორექციით შემოიფარგლება.

კოგნიტური მოდელი მოსწავლეებთან ინდივიდუალურად მუშაობას, საკლასო წესების შესახებ მათ პირადად ინფორმირებას, მოზარდების ახლოს გაცნობასა და პრობლემების მოგვარების გზების მათთან ერთად განხილვას გულისხმობს.

პიროვნული, ან პროსოციალური მოდელი, რომელსაც ზოგჯერ ჰუმანისტური მოდელის სახელითაც იხსენიებენ ხოლმე, მოსწავლეზე ორიენტირებული მოდელია და მასწავლებლის მხრიდან მოსწავლის როგორც აკადემიური, ისე სოციალური წარმატების ხელშეწყობას და ამ გზით სასწავლო პროცესში დამაბრკოლებელი დისციპლინური თუ სასწავლო პრობლემების პრევენციას ისახავს მიზნად. აღნიშნული მოდელი ბიჰევიორისტული და კოგნიტური მოდელების თანამედროვე ალტერნატივას წარმოადგენს.

## კლასის მართვის პროსოციალური მოდელი პრაქტიკაში

ვიდრე კლასის მართვის პროსოციალური მოდელის ფარგლებში შემოთავაზებული პრაქტიკული სტრატეგიების განხილვაზე გადავიდოდეთ, აუცილებელია, ყურადღება რამდენიმე მნიშვნელოვან ფაქტორზე გავამახვილოთ. იმისათვის, რომ კლასის ეფექტურად მართვა შევძლოთ, ამა თუ იმ სტრატეგიის გამოყენებამდე საჭიროა ვითარების და მასთან კონკრეტული სტრატეგიის შესაბამისობის გაანალიზება და შესაბამისი ცვლილებების შეტანა იმის მიხედვით, თუ რომელ ასაკობრივ ჯგუფთან, რა სიდიდის კლასთან, რა გარემო პირობებში, რა გამოცდილების მქონე მოსწავლეებთან, რა შესაძლებლობების მქონე შემსწავლელებთან ვმუშაობთ.

კლასის მართვის პროსოციალური მოდელი მასწავლებლებს ცხრა ძირითად სტრატეგიას სთავაზობს.

## მასწავლებლის მომზადება და პროფესიონალიზმი

გაკვეთილის დროს მასწავლებელმა აუცილებლად უნდა იხელმძღვანელოს წინასწარ მომზადებული გეგმით. მას მოსწავლეების მხრიდან მოსალოდნელი შეკითხვები გათვლილი უნდა ჰქონდეს. უნდა ჩანდეს, რომ ის დაინტერესებულია, რაც შეიძლება, ხარისხიანად შეისწავლონ მოსწავლეებმა საგანი. სასურველია, ახალბედა პედაგოგებმა წინასწარ ივარჯიშონ გაკვეთილის ჩატარებაში. გარდა ამისა, კარგი იქნება, თუ გაკვეთილის დაწყებამდე მასწავლებელი გაკვეთილის მიზნებს დაფაზე ჩამოწერს, ან სხვა ვიზუალური ფორმით მოამზადებს და მოსწავლეებს წარმოუდგენს. მიზნების წინასწარი გაცნობის ტექნიკა მოზარდების მოტივაციას ამაღლებს, კონცენტრაციის ხარისხს ზრდის და შედეგების გაზომვის საშუალებას იძლევა. მასწავლებელს, ასევე, წინასწარ მომზადებული და თანმიმდევრობით დაწყობილი უნდა ჰქონდეს ყველა ის მასალა, რომელსაც გაკვეთილზე გამოიყენებს.

## ეფექტური სასწავლო გარემოს შექმნა

ეფექტური სასწავლო გარემოს შექმნა როგორც კომფორტული ფიზიკური გარემოს, ისე უსაფრთხო ემოციური ატმოსფეროს შექმნას გულისხმობს. კომფორტული გარემოს შექმნაში ისეთი მარტივი ელემენტებიც კი მნიშვნელოვანია, როგორიცაა კლასში შემოსვლისთანავე მოსწავლეების მისალმება და მოკითხვა, მათი სახელების დამახსოვრება და ყოველთვის სახელით მიმართვა, საკუთარი თავის შესახებ მცირედი საინტერესო ინფორმაციის მიწოდება, მერხებისა და სკამების ისე განლაგება, რომ მასწავლებელს კლასში მოძრაობის, ხოლო მოსწავლეებს ჯანსაღი ინტერაქციის საშუალება ჰქონდეთ. ეფექტური გარემოს შესაქმნელად კიდევ ერთი უმნიშვნელოვანესი ელემენტია მასწავლებლის მხრიდან პოზიტიური დამოკიდებულების დემონსტრირება. აკადემიური თვალსაზრისით ეფექტური სასწავლო გარემოს შექმნა გულისხმობს

მოსწავლეების დონისა და შესაძ-ლებლობების შესაბამისი მასალის გამოყენებას, აგრეთვე ინსტრუქციების მკაფიოდ მიცემას.

## საკლასო წესებისა და პროცედურების შემუშავება

მოსწავლეებმა სასწავლო წლის დასაწყისშივე უნდა იცოდნენ, თუ რა მოლოდინები აქვს მასწავლებელს მათ მიმართ. სასურველია, საკლასო წესები მოსწავლეებთან ერთად შემუშავდეს და მშობლები მათ წლის დასაწყისში გაეცნონ. წესების შემუშავებაში მოსწავლეთა მონაწილეობა თვითდისციპლინის გამომუშავების საუკეთესო გზაა. საკლასო წესებისა და პროცედურების დადგენის შემდეგ ეფექტურია მოსწავლეების ჩართვა ამ წესებთან დაკავშირებული სიტუაციების გათამაშებაში, რათა მათ ისინი პრაქტიკულად შეითვისონ. ბენჯამინ ფრანკლინს უთქვამს: ერთი გრამი პრევენცია ერთი ტონა მკურნალობის ტოლფასიაო. საკლასო წესები მათი დარღვევის შემთხვევაში შესაძლო დამსჯელობითი ღონისძიებების აღწერასაც უნდა მოიცავდეს.

უნდა ვაღიაროთ, რომ პრევენციული მექანიზმების გატარების მიუხედავად, რიგ შემთხვევებში, წესების დარღვევა აუცილებლად მოხდება. ამიტომ საჭიროა, მასწავლებელს დაუყოვნებლივი და ადეკვატური რეაგირება შეეძლოს. რეაქციის ფორმის შერჩევა პედაგოგზეა დამოკიდებული, თუმცა სასურველია, მან მოსწავლეებთან წინასწარ განხილული რომელიმე სადამსჯელო ღონისძიება აირჩიოს და არა რაიმე სხვა ფორმა.

## დააფასეთ ყოველი წამი

წარმატებული სწავლებისა და კლასის მართვის კიდევ ერთი წინაპირობაა დროის ეფექტურად მართვა. გაკვეთილის დროულად დაწყებისა და დასრულების გარდა, სასწავლო ღონისძიებები ისე უნდა დაიგეგმოს, რომ მოსწავლეს საკმარისი დრო ჰქონდეს სამუშაოს შესასრულებლად, მაგრამ თავისუფალი დრო არ უნდა დარჩეს ყურადღების გასაფანტად. ამისათვის საჭიროა, გაკვეთილის გეგმა მეტ აქტივობას მოიცავდეს და დროის დარჩენის შემთხვევაში მოსწავლე სათანადოდ დაკავდეს. დროის ეკონომიის მიზნით, ყოველ გაკვეთილზე, მონაცვლეობის პრინციპით, შესაძლებელია დამხმარე მოსწავლის არჩევა, რომელიც მასწავლებელს მასალების დარიგებაში, კლასის ორგანიზებასა და სხვა ტექნიკურ საკითხებში დაეხმარება.

## მოსწავლეების თანაბარი ჩართულობა

მასწავლებელი უნდა ეცადოს, რომ ნებისმიერ მოსწავლეს მუდმივად რაიმე საფიქრალი ან სამუშაო ჰქონდეს გაკვეთილის განმავლობაში. მან აქტიური მონაწილეობა უნდა მოსთხოვოს როგორც ძლიერ, ისე სუსტ მოსწავლეებს. ჩართულობის გაზრდის მიზნით, პედაგოგს შეუძლია სხვადასხვა ტექნიკას მიმართოს: დასვას შეკითხვები, მისცეს მოსწავლეებს რამდენიმე წამი პასუხის მოსაფიქრებლად, გამოიყენოს „ექოს პრინციპი“ და ერთი მოსწავლის პასუხი მესამე პირში გაამეორებინოს მეორეს, შეაჩვიოს ისინი რისკს იმ შემთხვევაში, როცა დარწმუნებულები არ არიან პასუხის სისწორეში, შეაქოს სწორი პასუხის შემთხვევაში, მისცეს მინიშნებები, თუ მოსწავლეებს შეკითხვაზე პასუხის გაცემა უჭირთ, ყოველთვის გადაამოწმოს, რამდენად კარგად გაიგო ყველამ დავალების ინსტრუქცია, მისცეს მოსწავლეებს ერთმანეთისთვის შეკითხვების დასმისა და ერთმანეთის პასუხების გასწორების საშუალება. ეს უკანასკნელი ტექნიკა განსაკუთრებით ზრდის მოსწავლის კონცენტრაციის ხარისხს და ხელს უწყობს კრიტიკული აზროვნებისა და ანალიტიკური უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებას. და ბოლოს, მნიშვნელოვანია, რომ მასწავლებელმა აუცილებლად გაითვალისწინოს მოსწავლეების განსხვავებული სწავლის სტილი და ინდივიდუალური საჭიროებები.

## სასიცოცხლო უნარ-ჩვევები, მოსწავლეთა უფლებები და პასუხისმგებლობები

აკადემიური ცოდნის გადაცემასთან ერთად, მნიშვნელოვანია, რომ მასწავლებელმა მოსწავლებს აუცილებელი სასიცოცხლო უნარ-ჩვევები გამოუმუშავოს. მათი შეძენით მოსწავლეები საკუთარი უფლებების დაცვასა და პასუხისმგებლობების შესრულებას შეძლებენ. სასურველია, ეს პროცესი მშობლებთან კოორდინაციით განხორციელდეს და მოსწავლეებს ის სასიცოცხლო უნარ-ჩვევები გამოუმუშავდეთ, რომლებიც ყველაზე მეტად სჭირდებათ: გუნდური მუშაობა, სიმამაცე, შრომისმოყვარეობა, მოქნილობა, მეგობრობა, ინიციატივის გამოჩენა, მოთმინება, მიზანმიმართულობა, პატივისცემა, პასუხისმგებლობის გრძნობა, იუმორის გრძნობა და ა.შ.

სასიცოცხლო უნარ-ჩვევების გადაცემა მასწავლებლებს ისეთი მარტივი გზით შეუძლიათ, როგორიცაა, მაგალითად, მოსწავლეების მორიგეობით დატოვება გაკვეთილების შემდეგ და საკლასო ოთახის მათთან ერთად დასუფთავება, მოსწავლეებთან ერთად გაკვეთილის შეფასება და მისი გაუმჯობესების გზების განხილვა.

უნდა გვახსოვდეს, რომ ყველა მოსწავლეს თანაბარი უფლებები აქვს და მასწავლებლის მხრიდან ფავორიტიზმის გამოვლენა მოსწავლეთა უფლებების დარღვევაა და ამასთანავე, კლასში აგრესიის გაჩენას იწვევს.

## შემოქმედებითი მიდგომა

იმისათვის, რომ სასწავლო პროცესი მუდმივად საინტერესო იყოს და მოსწავლეებს ყურადღება არ მოუდუნდეთ, მასწავლებელმა შემოქმედებით მიდგომას უნდა მიმართოს და სწავლების ინოვაციური ფორმები ეძებოს. ბავშვებს სიახლეები და ექსპერიმენტები ყოველთვის იზიდავთ. ეს მათ განვითარებასაც უწყობს ხელს. გარდა ამისა, განსხვავებული და მრავალფეროვანი სწავლების მეთოდებისა და ფორმების გამოყენება სხვადასხვა სტილის მქონე შემსწავლელების დაინტერესების გარანტიაცაა. „საშუალო დონის მასწავლებელი მოგვითხრობს, კარგი მასწავლებელი გვიხსნის, პროფესიონალი მასწავლებელი გვიჩვენებს, საუკეთესო მასწავლებელი კი შემოქმედებით ინტერესს გვიღვიძებს“, – უთქვამს ამერიკელ პუბლიცისტს უილიამ არტურ ვორდს.

## მოსწავლეების შეფასება

მოსწავლეების გამჭვირვალე შეფასება მასწავლებლის რეპუტაციასა და პროფესიონალიზმთან პირდაპირ კავშირშია. ის მოზარდების დამოკიდებულებასა და ქცევაზე მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს. შეფასების სისტემა მაქსიმალურად ობიექტური, გამჭვირვალე და სამართლიანი უნდა იყოს. მოსწავლეები შეფასების კრიტერიუმებს კარგად უნდა იცნობდნენ. შეფასებასთან ერთად მათ მასწავლებლის სიტყვიერი რჩევებიც უნდა მიიღონ. რჩევების მიცემისას პედაგოგმა მოსწავლე უნდა წაახალისოს და მას ოპტიმისტური განწყობა შეუქმნას.

## კომუნიკაცია

ღია კომუნიკაცია პრობლემების პრევენციის ერთ-ერთი ყველაზე ეფექტური საშუალებაა. ძალიან მნიშვნელოვანია არა მხოლოდ მოსწავლეებთან, არამედ მშობლებთან კომუნიკაციაც. მასწავლებელმა მოსწავლეები უნდა წაახალისოს, რათა მათ აქტიურად გამოთქვან აზრი, დასვან შეკითხვები და ისაუბრონ პრობლემებზე. მშობლებთან კომუნიკაციისთვის პედაგოგს შეუძლია ზეპირ ან წერილობით ფორმას მიმართოს. რაც უფრო მეტად არის მშობელი ინფორმირებული შვილის წარმატებებისა თუ სირთულეების შესახებ, მით მეტი პასუხისმგებლობის გრძნობა აქვს მოსწავლესაც. კომუნიკაციის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ასპექტია კოლეგებთან და სკოლის ადმინისტრაციასთან აქტიური კომუნიკაციაც. ამ გზით პრობლემების კოორდინირებულად გადაჭრაა შესაძლებელი.

ბაია ახალაია

# სკოლისა და ოჯახის თანამშრომლობა

**ბავშვის აღზრდა და ხარისხიანი განათლება ისეთ მნიშვნელოვან საკითხს უკავშირდება, როგორიცაა სკოლისა და მშობლის თანამშრომლობა. ამ პროცესში მთავარ როლს კლასის დამრიგებელი ასრულებს. მასზეა დამოკიდებული, რამდენად ესმის მოსწავლის ოჯახს სკოლის მიერ აღმზრდელობით-საგანმანათლებლო მიმართულებით გატარებული პოლიტიკა და რამდენად მონაწილეობს ის სასკოლო ცხოვრებაში.**

> მშობლის მიერ დაგროვებული გამოცდილება და ინფორმაცია მოსწავლის ფიზიკური და გონებრივი განვითარების შესახებ მასწავლებლისთვის ძალიან მნიშვნელოვანია.

ზოგადად, ოჯახი უნდა განიხილებოდეს, როგორც მთავარი დამკვეთი და მოკავშირე ბავშვის აღზრდის საკითხებში, პედაგოგისა და ოჯახის ერთობლივი ძალისხმევა კი ყოველთვის საუკეთესო გარემოსა და პირობებს შექმნის მოსწავლის განვითარებისთვის.

სკოლაში კლასის დამრიგებელს ბევრი ფუნქცია აქვს, მაგრამ მისი მუშაობის მთავარი მიმართულება მოსწავლის ოჯახთან ურთერთობაა. მათი თანამშრომლობა, პირველ რიგში, ურთიერთპატივისცემას, დახმარებისა და თანადგომის სურვილს, მოთმინებასა და ნდობას უნდა ემყარებოდეს. აქედან გამომდინარე, დამრიგებლისთვის ძირითადია მოსწავლის ოჯახთან ფსიქოლოგიურ-პედაგოგიურ მუშაობა. მშობლის მიერ დაგროვებული გამოცდილება და ინფორმაცია მოსწავლის ფიზიკური და გონებრივი განვითარების შესახებ მასწავლებლისთვის ძალიან მნიშვნელოვანია. მეორე მხრივ, პედაგოგს შეუძლია მშობელს დაეხმაროს.

აუცილებელია, მასწავლებლის კონსულტაცია თუ დახმარება

კონკრეტულ მიზნებს ემსახურებოდეს და არ იყოს ზოგადი ხასიათის. კონკრეტული რჩევა და გამოცდილების გაზიარება ხელს უწყობს მშობლების პედაგოგიურ განათლებას. პედაგოგს აქვს გამოცდილება და ცოდნა საგანმანათლებლო საკითხებში, ხოლო ოჯახს – ყველაზე საჭირო და მეტი ინფორმაცია სკოლის გარეთ ცხოვრების შესახებ. ასეთ დროს თანამშრომლობა და ურთიერთნდობა საუკეთესო შედეგს გვაძლევს. გთავაზობთ მშობლებთან მუშაობის რამდენიმე ფორმას:

- **მიმოწერა მშობლებთან** – მშობლების წერილობითი ფორმით ინფორმირება (მაგალითად, მოსწავლის დღიურის ან ელექტრონული ფოსტის საშუალებით). აუცილებელია, მშობელთან წერილობითი ურთიერთობისას ჩანდეს მასწავლებლის კეთილგანწყობა და წერილები შეიცავდეს დადებით ინფორმაციას, რჩევას, სურვილს და ცნობებს პედაგოგის მიერ დაგეგმილი საქმიანობის, ასევე მოსწავლის წარმატებებისა და მიღწევების შესახებ. წერილობითი შეტყობინებით შესაძლებელია მშობელი სკოლაშიც მოვიწვიოთ სხვადასხვა აქტივობაზე, ღონისძიებასა და შეხვედრაზე.

- **მშობელთა კრება** – ანალიზისა და ინფორმაციის გაცვლის ფორმა (მშობელთა კრების სახეები: საორგანიზაციო, პედაგოგიურ-ფსიქოლოგიური განათლების მიზნით შეხვედრა, თემატური, შეხვედრა-დისკუსიები, შემაჯამებელი, მაგ., სემესტრის ბოლოს და პირისპირ შეხვედრა). ტრადიციისამებრ, სასწავლო წლის განმავლობაში, სკოლის ადმინისტრაცია ორჯერ ატარებს მშობლებთან შეხვედრას, რომლის დროსაც მათ აცნობს დოკუმენტებს, სკოლის გეგმებს, მიმართულებებსა და შედეგებს. თუმცა არსებობს მშობელთა კრების სხვა ფორმებიც, რომლების ორგანიზებაც კლასის დამრიგებელს შეუძლია. მათზე სასწავლო და აღმზრდელობითი პროცესის მიმდინარეობა და ამოცანები განიხილება. მშობელთა კრება მაშინ არის ნაყოფიერი, როდესაც ყურადღებას მხოლოდ შედეგებზე კი არ ვამახვილებთ, არამედ აქტუალურ პედაგოგიურ პრობლემებს და მათი მოგვარების სტრატეგიებს ვარჩევთ. მშობელთა კრების დროს დაუშვებელია, განიხილებოდეს დისციპლინის დარღვევის ფაქტები ან რომელიმე მოსწავლესთან დაკავშირებული საკითხები. ხშირ შემთხვევაში, მშობელთა კრება პედაგოგის მონოლოგად იქცევა ხოლმე, რაც ხელს უშლის იმას, რომ შეხვედრა შედეგიანი იყოს. რეკომენდებულია, კრებაში მონაწილეობდეს: სკოლის ფსიქოლოგი, სხვადასხვა საგნის მასწავლებელი და ექიმი. პედაგოგს შეუძლია შეხვედრა წარმართოს ჯგუფური ტიპის სამუშაოებით, დისკუსიებით და ტრენინგის მსგავსი აქტივობებით, მაგ., საინტერესო იქნება, თუ საილუსტრაციო მასალას ან სკოლის ცხოვრებასთან დაკავშირებულ დოკუმენტებს გავამზადებთ. აუცილებელია, კრების ჩასატარებლად დრო სწორად იყოს შერჩეული და ყველა მშობელს მასში მონაწილეობის საშუალება ჰქონდეს. კრება მშობლებთან ურთიერთობის ერთ-ერთი საპასუხისმგებლო ფორმაა და მის ჩასატარებლად კარგად მომზადებულები უნდა ვიყოთ.

- **მშობელთა კომიტეტი** – მშობლებთან თანამშრომლობის ფორმა, რომელიც ითვალისწინებს როგორც სასწავლო, ისე საორგანიზაციო საკითხების ერთობლივ გადაწყვეტასა და ორგანიზებას. მშობლებთან პედაგოგის მუშაობა გულისხმობს მათ აქტიურ ჩართვას სკოლის თვითმმართველობის ორგანოებში (მაგ., სამეურვეო საბჭო, მოსწავლეთა თვითმმართველობა, მშობელთა კომიტეტი ან სხვა ტიპის გაერთიანებები). მშობელს, როგორც სოციალურ დამკვეთს და დაინტერესებულ მხარეს აუცილებელია, სკოლის ცხოვრებაში მონაწილეობის უფლება ჰქონდეს, რაც თანამედროვე სკოლის წარმატების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პირობაა. კლასის მშობელთა კომიტეტი კლასის დამრიგებელთან ერთად გეგმავს და ახორციელებს მშობლების პედაგოგიურ განათლებას. კომიტეტის წევრებს მუდმივი კონტაქტი აქვთ დანარჩენ მშობლებთან. ისინი მათ საორგანიზაციო და აღმზრდელობითი საკითხების მოგვარებაში ეხმარებიან. ასევე, კომიტეტის წევრები აქტიურად აანალიზებენ, აფასებენ და აჯამებენ, თუ რამდენად ნაყოფიერია სკოლისა და ოჯახის თანამშრომლობა. იდეალურ შემთხვევაში, კლასის კომიტეტის წევრები სკოლის სამეურვეო საბჭოს წევრებიც არიან: ასეთ დროს ორივე ორგანო ერთმანეთს გამოცდილებას უზიარებს და ისინი უფრო მეტად ინფორმირებული არიან სკოლის პოლიტიკისა და სასწავლო პროცესის შესახებ.

- **სასკოლო ღონისძიებები** – მშობლების სასკოლო ცხოვრებაში მონაწილეობის ფორმა. მშობლები სკოლას ყველაზე ხშირად საკლასო ღონისძიებების დროს სტუმრობენ. ზოგადად, სკოლის ავტორიტეტი იმასაც უკავშირდება, თუ რა ტიპის და რა რაოდენობის ღონისძიებები ხორციელდება. მოსწავლის აღზრდის პროცესში კულტურულ და სპორტულ ღონისძიებებს მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს, რადგან ასეთი აქტივობების დროს მოსწავლეებს ისეთი

ეთმობა, რომლის დროსაც მათ სასურველ გაკვეთილზე დასწრების საშუალება ეძლევათ. ღია გაკვეთილები ხელს უწყობს იმ კონფლიქტების თავიდან აცილებას, რომლებიც არაინფორმირებულობის გამო ჩნდება. პედაგოგები ცდილობენ, თანამედროვე მეთოდებზე აგებული გაკვეთილი ჩაატარონ და სხვადასხვა ტიპის სამუშაო გამოიყენონ, რათა მშობლებს თავისი ოსტატობა აჩვენონ, ბავშვებს კი საკუთარი შესაძლებლობების წარმოჩენის საშუალება მისცენ. ღია გაკვეთილების შემდეგ მშობლებს უნდა შეეძლოთ გამოხატონ საკუთარი შეხედულებები, შენიშვნები და სურვილები.

უნარ-ჩვევები უვითარდებათ, რომლებიც მხოლოდ სასწავლო პროცესით ვერ მიიღწევა. სასკოლო ღონისძიებებში ვგულისხმობთ ასევე: ექსკურსიებს, გასვლით ღონისძიებებსა და ლაშქრობებს, რომლებიც მოსწავლეებთან და მათ მშობლებთნ მეტად გვაახლოებს და ხელს უწყობს ნდობისა და მეგობრული ურთიერთობის ჩამოყალიბებას. ამ დროს მშობლები უკეთ ხედავენ საკუთარი შვილების მისწრაფებებსა და ნიჭს, მათ წარმოდგენა ექმნებათ ბავშვების აქამდე უცნობ მხარეებსა და ინტერესებზე. სასკოლო ცხოვრებაში მშობელთა ჩართვის კარგი საშუალებაა სასწავლო და საკლასო წრეების, სპორტული კლუბების ორგანიზება. სამწუხაროდ, უმრავლეს შემთხვევაში, ისინი არა მხოლოდ სასკოლო ცხოვრებაში მონაწილეობისთვის ვერ იცლიან, არამედ საკუთარი შვილის აღზრდის პროცესსაც ზედაპირულად ადევნებენ თვალს. თუმცა ყოველთვის მოიძებნებიან ენთუზიასტი მშობლები, რომლებიც შეძლებენ საკლუბო მუშაობის ინიციატორები და წარმართველები იყვნენ. კლასის დამრიგებელმა პროფესიული მოღვაწეობის მიხედვით უნდა ჩართოს ისინი საკლასო და სასკოლო აქტივობებში (მაგ., მშობელი, რომელიც სპორტსმენია, სპორტულ შეჯიბრებებში დავიხმაროთ. თუ ვინმე სამეცნიერო დაწესებულებაში ან უმაღლეს სასწავლებელში მოღვაწეობს, მას სასკოლო კონფერენციაში მივაღებინოთ მონაწილეობა და ა.შ.).

**ღია გაკვეთილები** – ღია გაკვეთილების ძირითადი მიზანია, გავაცნოთ მშობლებს ახალი საგნობრივი პროგრამები და სწავლების მეთოდები. ღია გაკვეთილების პრაქტიკა დაწყებითი სკოლის კლასებში ხორციელდება. ამას სწავლების დაწყებით საფეხურზე მშობელთა მეტი ინტერესი და აქტიურობა განაპირობებს. აუცილებელია, სკოლამ მშობლებს წელიწადში რამდენჯერმე მისცეს გაკვეთილებზე დასწრების, ინფორმაციის მიღების, საგნის სტრატეგიების, მეთოდების გაცნობისა და პედაგოგის მუშაობის სპეციფიკის გააზრების შესაძლებლობა. არსებობს სხვა გამოცდილებაც: სკოლაში მშობლებს კვირის რომელიმე დღე

**ინდივიდუალური შეხვედრები (თემატური კონსულტაცია)** – როგორც პედაგოგს, ასევე მშობელს შეუძლია ეს ფორმა სასწავლო წლის განმავლობაში აქტიურად გამოიყენოს. სასურველია, ასეთი შეხვედრები სკოლის ორგანიზებით ჩატარდეს, მაგალითად, წელიწადში ორჯერ სკოლამ მშობლებს მისცეს ყველა საგნის პედაგოგთან შეხვედრის და ინფორმაციის მიღების საშუალება. ამისათვის უნდა გამოიყოს შაბათი, ან რომელიმე არასამუშაო დღე და შეიქმნას სათანადო პირობები. მშობლებთან ინდივიდუალური შეხვედრის დროს უნდა განიხილებოდეს მოსწავლის აკადემიური და დისციპლინური პრობლემები თუ წარმატებები. ინფორმაციის გაცვლა ორივე მხარისთვის მეტად საჭიროა. ასეთი შეხვედრების დროს აუცილებელია, მასწავლებელმა შეინარჩუნოს ტაქტი და საუბარმა საქმიანი ხასიათი არ დაკარგოს. წარმატებული კონსულტაციის საწინდარი პედაგოგსა და მშობელს შორის თანამშრომლობის, ნდობის და ურთიერთპატივისცემის არსებობაა.

# ქცევითი პრობლემები ბავშვებსა და მოზარდებში

**ცნობილია, რომ ბავშვთა და მოზარდთა ქცევით პრობლემებთან გამკლავება მასწავლებლებს საკმაოდ უჭირთ. ბავშვების ანტისოციალურ, დესტრუქციულ თუ ძალადობრივ ქცევას ფსიქოლოგები ქცევით აშლილობას უწოდებენ. მიუხედავად იმისა, რომ სხვადასხვა ქვეყანაში მრავალ ხერხს მიმართავენ აღნიშნული პრობლემის აღკვეთისა თუ პრევენციისთვის, ბავშვთა ქცევითი აშლილობა მაინც სერიოზულ პრობლემად რჩება როგორც სკოლისთვის, ისე ოჯახისა და მთლიანად საზოგადოებისთვის.**

ანა ჯანელიძე

ქცევითი პრობლემები და ანტისოციალური ქცევა ბავშვის ასაკისთვის შეუსაბამო ისეთ ქმედებასა და დამოკიდებულებას გულისხმობს, რომელიც ოჯახის მოლოდინებს უგულვებელყოფს, სოციალურ ნორმებს, სხვა პიროვნებისა და საკუთრების უფლებებს არღვევს. ქცევითი აშლილობა, შესაძლოა, სხვადასხვა ტიპის ქცევით გამოიხატოს, მაგ. შედარებით მსუბუქი ფორმით (ყვირილი, უცენზურო სიტყვების გამოყენება, გაცხარება) და შედარებით მძიმე ფორმით (ვანდალიზმი, ქურდობა, ფიზიკური შეურაცხყოფა).

ცხადია, ისეთი ქცევა, როგორიც ყვირილი ან გაცხარებაა, შესაძლოა, გარკვეულ სიტუაციებში ადეკვატური იყოს, ქცევითი აშლილობა კი სწორედ არსებული სიტუაციისთვის შეუსაბამო ქცევას გულისხმობს. მაგალითად, სკოლაში სპორტული შეჯიბრებისას დაფიქსირებული უსამართლობის შემთხვევაში, მოსწავლეების მხრიდან ყვირილი ან გაცხარება ადეკვატური რეაქცია იქნება და ქცევით აშლილობად არ უნდა მივიჩნიოთ.

ამრიგად, არსებობს სხვადასხვა ფორმითა და ინტენსივობით გამოხატული ანტისოციალური ქცევები, რომლებსაც განსხვავებული მიზეზები და შედეგები აქვს.

მრავალი კვლევა ცხადყოფს, რომ ის ბავშვები, რომლებსაც ქცევითი აშლილობები ხშირად (თუმცა არა ყოველთვის) აღენიშნებათ, უკიდურესად მძიმე პირობებში იზრდებიან: ფიზიკურ ძალადობას განიცდიან, უფროსებისა და თანატოლების მხრიდან ყურადღებას ვერ გრძნობენ, სიღარიბეში ცხოვრობენ და ხშირად კრიმინალური შემთხვევების მოწმენიც კი ხდებიან. შესაძლოა, აღნიშნული გარემოებები დევიანტურ ქცევას არ ამართლებს, მაგრამ ასეთი ქცევის მიზეზების გარკვევისა და პრევენციისთვის საჭირო ინფორმაციას უდავოდ გვაძლევს.

ბავშვებსა და მოზარდებში დევიანტური ქცევის შედეგებს მკვლევარები რამდენიმე კონტექსტში განიხილავენ, მათ შორის სამართლებრივი, ფსიქოლოგიური, ფსიქიატრიული და საზოგადოებრივი ჯანდაცვის კუთხით.

ცხადია, ისეთი ქცევა, როგორიც ყვირილი ან გაცხარებაა, შესაძლოა, გარკვეულ სიტუაციებში ადეკვატური იყოს, ქცევითი აშლილობა კი სწორედ არსებული სიტუაციისთვის შეუსაბამო ქცევას გულისხმობს.

სხვადასხვა ქვეყანაში პერიოდულად ხდება ქცევითი აშლილობის გამო გამოწვეული ეკონომიკური ზარალის დათვლა საგანმანათლებლო, ჯანმრთელობის, სოციალური სერვისების, პენიტენციალური და ფსიქიკური ჯანმრთელობის სფეროებში გაწეული დანახარჯების მიხედვით. მაგალითად, ამერიკის შეერთებულ შტატებში არსებული სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, სხვა ფსიქიკურ აშლილობებთან შედარებით, სწორედ ქცევით აშლილობებს მოჰყვება ყველაზე დიდი ზარალი. სამართლებრივი თვალსაზრისით, ქცევითი პრობლემები დანაშაულებრივი ქმედების კონტექსტში განიხილება და მათ თან ახლავს აღმკვეთი თუ დამსჯელი ღონისძიებები შესაბამისი სახელმწიფო ორგანოების მხრიდან. ფსიქოლოგიური თვალსაზრისით, ქცევითი პრობლემები განიხილება, როგორც განსაზღვრული ფორმებით გამოხატული იმპულსური, აგრესიული და დაუდევარი ქცევა.

ფსიქოლოგები და ფსიქიატრები ქცევასთან დაკავშირებული აშლილობის რამდენიმე კატეგორიას გამოყოფენ, მათ შორის ოპოზიციურ-დევიანტურ აშლილობას და ე.წ. ქცევით აშლილობას.

ოპოზიციურ-დევიანტური ქცევითი აშლილობის მქონე ბავშვებისთვის დამახასიათებელია ასაკისთვის შეუსაბამო ნეგატიური, გამაღიზიანებელი და ერთგვარად მტრული ქცევა. აღნიშნული აშლილობის მქონე ბავშვები, ხშირ შემთხვევაში, ადვილად კარგავენ წონასწორობას, ეკამათებიან და ეჩხუბებიან უფროსებს, არ ემორჩილებიან წესებს, განზრახ აღიზიანებენ ადამიანებს და საკუთარი საქციელისა თუ შეცდომების გამო სხვებს ადანაშაულებენ, ადვილად ღიზიანდებიან და ბრაზდებიან. მათი წყენინება ადვილია.

ქცევითი აშლილობა უფრო აგრესიული და ანტისოციალური ქცევებით ხასიათდება, რომელსაც, შესაძლოა, თან ახლდეს სხვისთვის ტკივილისა და ზიანის მიყენება, სხვისი უფლებების შელახვა ფიზიკური და ვერბალური აგრესიის გზით, ქურდობა და ვანდალიზმი. ქცევითი აშლილობის მქონე ბავშვები ხშირად არ ემორჩილებიან უფროსებს, ადვილად ცხარდებიან. კვლევები ცხადყოფს, რომ ბევრ მათგანს აღენიშნება ყურადღების დეფიციტი და ჰიპერაქტიურობა. მათ უჭირთ სწავლა და თანატოლებთან ურთიერთობა. რიგ შემთხვევებში, ასეთი ბავშვების ოჯახებში არსებული აღზრდის მეთოდები (მაგ., დასჯის მძიმე ფორმები), ოჯახის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა და ოჯახის წევრთა პირადი პრობლემები ხელს უწყობს ქცევითი აშლილობის ჩამოყალიბებას.

ცხადია, თუ ბავშვი რომელიმე ზემოაღნიშნულ ქცევას ამჟღავნებს, ეს არ მიუთითებს იმაზე, რომ მას ქცევითი აშლილობა აქვს. აშლილობის არსებობა-არარსებობის შეფასებისას ფსიქოლოგები, ქცევის ფორმების გარდა, სხვა მნიშვნელოვან ფაქტორებსაც ითვალისწინებენ (მაგალითად, რამდენ ხანს გრძელდება ანტისოციალური ქცევა, რა ასაკში დაიწყო ბავშვმა მისი გამომჟღავნება, რამდენად ხშირად იქცევა ასე და ა.შ.).

## მახასიათებლები

ბავშვებსა და მოზარდებში ქცევით პრობლემებს მრავალი თავისებურება ახასიათებს. ზოგიერთი მათგანი ქცევით პრობლემებთან ერთად ჩნდება, სხვები კი, რიგ შემთხვევებში, შესაძლოა, პრობლემური ქცევის მიზეზად ან შედეგად მოგვევლინოს.

## კოგნიტური და ვერბალური უნარების დეფიციტი

კვლევების მიხედვით, ქცევითი პრობლემების მქონე ბავშვების ინტელექტის კოეფიციენტი, საშუალოდ, რამდენიმე ქულით ჩამორჩება მათივე თანატოლების ინტელექტის მაჩვენებელს. სხვაობა კიდევ უფრო დიდია ისეთ შემთხვევებში, როცა ბავშვს ქცევის პრობლემები ადრეული ასაკიდან აღენიშნება. ამასთანავე, ქცევითი პრობლემების მქონე ბავშვები ხშირად გამოირჩევიან ვერბალური უნარების დეფიციტით, რამაც, შესაძლოა, ზეგავლენა მოახდინოს მოსმენისა და კითხვის საშუალებით ათვისების უნარზე, პრობლემების გადაჭრის უნარზე, ზეპირ და წერით მეტყველებაზე. რასაკვირველია, ინტელექტის შედარებით დაბალი კოეფიციენტი იმას არ ნიშნავს, რომ ბავშვს ქცევითი პრობლემები აუცილებლად ჩამოუყალიბდება.

## სკოლა და სწავლის პრობლემები

ქცევითი პრობლემების მქონე ბავშვები სკოლაში სხვადასხვა ტიპის სირთულეებს აწყდებიან (დაბალი აკადემიური მოსწრება, კლასში ჩარჩენა, სპეციალურ საგანმანათლებლო სივრცეში გადაყვანა, სკოლიდან დათხოვნა). მიუხედავად იმისა, რომ სკოლაში წარუმატებლობით გამოწვეულმა ფრუსტრაციამ, შესაძლოა, ზოგიერთი მოსწავლის ანტისოციალური ქცევა გამოიწვიოს, კვლევები ცხადყოფს, რომ აკადემიური წარუმატებლობა ანტისოციალური ქცევის ძირითადი მიზეზი არ არის, განსაკუთრებით ადრეულ ასაკში. ანტისოციალური ქცევის გარკვეულ ელემენტებს ხომ ბევრი ბავშვი სკოლაში შესვლამდე ამჟღავნებს. სავარაუდოდ, მათ პრობლემებს  საერთო ფაქტორები – ნეიროფსიქოლოგიური თუ მეტყველების დარღვევები, ან არახელსაყრელი სოციალურ-ეკონომიკური პირობები განსაზღვრავს. ქცევითი პრობლემების მქონე ბავშვები ყველაზე მეტად ჩამორჩებიან  ენის ათვისებისა და კითხვის ჩვევის გამომუშავების კუთხით. თუმცა, თუ ქცევით პრობლემებს ყურადღების დეფიციტისა და ჰიპერაქტივობის სინდრომი არ ახლავს, ამ ბავშვების აკადემიური მოსწრება, აღნიშნულ კომპონენტებში, თანატოლთა მოსწრებისგან არ განსხვავდება.  ამრიგად, ქცევის პრობლემები აკადემიურ წარუმატებლობას მხოლოდ ყურადღების დეფიციტისა და ჰიპერაქტივობის სინდრომის არსებობის შემთხვევაში უკავშირდება.

გარდა ამისა, ზოგჯერ აკადემიური წარუმატებლობა და ქცევის პრობლემები ზეგავლენას ერთმანეთზე ახდენს. ადრეულ ასაკში მეტყველების ფუნქციის დარღვევამ, შესაძლოა, კითხვისა და კომუნიკაციის პრობლემები გამოიწვიოს და ეს დაწყებით კლასებში ანტისოციალური ქცევის მიზეზად მოგვევლინოს. მეორე მხრივ, დიდია იმის ალბათობა, რომ დაბალი აკადემიური მოსწრების მქონე ბავშვებმა სწავლის ინტერესი მალე დაკარგონ და სხვა ქცევითი პრობლემების მქონე ბავშვებს დაუახლოვდნენ. მოზარდებში ანტისოციალურ ქცევასა და სასკოლო წარუმატებლობას შორის მყარი კავშირი შეინიშნება.

## დაბალი თვითშეფასება და პრობლემები თანატოლებთან ურთიერთობაში

დაბალი თვითშეფასება ერთ-ერთი ფაქტორია, რომელიც ხელს უწყობს ქცევითი პრობლემების ჩამოყალიბებას. ანტისოციალური ქცევა ხშირად არასტაბილურ თვითშეფასებას უკავშირდება. მაგალითად, ქცევითი პრობლემების მქონე ბავშვებს ზოგჯერ ზედმეტი მოლოდინები აქვთ სხვა ბავშვების მიერ მათი საქციელის მოწონების მხრივ. ნებისმიერმა შემთხვევამ, რომელიც ეჭვქვეშ დააყენებს საკუთარი თავის ამგვარ ხედვას, შესაძლოა, ბავშვის აგრესიული და ძალადობრივი ქცევა გამოიწვიოს. ამ გზით ის შეეცდება, თავი აარიდოს თვითშეფასების დაცემას.

ადრეულ ასაკში ქცევითი პრობლემების მქონე ბავშვებს ნაკლებად აქვთ განვითარებული სოციალური უნარები და ისინი ხშირად პრობლემებს აწყდებიან თანატოლებთან ურთიერთობისას. ასაკის მატებასთან ერთად, ბევრი მათგანი, შესაძლოა, თანატოლებისგან გარიყულიც აღმოჩნდეს, თუმცა ზოგიერთი მაინც მოახერხებს საკუთარი ადგილის დამკვიდრებას. ქცევითი პრობლემების მქონე ბავშვები უმთავრესად ერთმანეთთან მეგობრობენ და არა სხვა

ბავშვებთან. აღსანიშნავია, რომ ორივე ფაქტორის – დევიანტური ქცევის მქონე თანატოლებთან ურთიერთობისა და ადრეულ ასაკში გამჟღავნებული ანტისოციალური ქცევის – არსებობა მნიშვნელოვნად ზრდის მოზარდობის ასაკში ქცევითი აშლილობის ჩამოყალიბების ალბათობას.

**კვლევებიცა და პრაქტიკული გამოცდილებაც ცხადყოფს, რომ ყველაზე ეფექტური შედეგი კომპლექსურ მიდგომას აქვს. კერძოდ, ყველაზე წარმატებული პროგრამები მშობლებისა და პედაგოგების აქტიურ როლსა და ბავშვისადმი ინდივიდუალურ მიდგომას ითვალისწინებს.**

## ოჯახური პრობლემები

ბავშვის ანტისოციალურ ქცევას ხშირად ოჯახში არსებული პრობლემები განაპირობებს. ამ მხრივ გამოყოფენ ოჯახური პრობლემების ორ ძირითად კატეგორიას: 1. ზოგადი ოჯახური პრობლემები (მშობლის ფსიქიკური მდგომარეობა, ოჯახში ანტისოციალური ქცევის მაგალითები, მშობლებს შორის უთანხმოება, არასტაბილური ოჯახური მდგომარეობა, შეზღუდული რესურსები და ოჯახის ანტისოციალური ღირებულებები) 2. სპეციფიკური პრობლემები ოჯახის ფუნქციონირებისა და აღზრდის მეთოდების სფეროში (მკაცრი სასჯელის ხშირი გამოყენება, ზედამხედველობისა და მზრუნველობის ნაკლებობა, ემოციური თანადგომის ნაკლებობა და მშობელთა შორის უთანხმოება ბავშვის აღზრდასთან დაკავშირებულ საკითხებზე).

## ინტერვენცია და პრევენცია

სხვადასხვა ქვეყანაში მრავალი კვლევა ჩატარდა ქცევითი პრობლემების მიზეზების გარკვევისა და მათი მოგვარების  გზების ძიების მიზნით. კვლევებიცა და პრაქტიკული გამოცდილებაც ცხადყოფს, რომ ყველაზე ეფექტური შედეგი კომპლექსურ მიდგომას აქვს. კერძოდ, ყველაზე წარმატებული პროგრამები მშობლებისა და პედაგოგების აქტიურ როლსა და ბავშვისადმი ინდივიდუალურ მიდგომას ითვალისწინებს. ცხადია, ეს ყველაფერი მნიშვნელოვან ფინანსურ რესურსსა და სისტემურ მიდგომას ითხოვს. არსებობს სხვა წარმატებული მიდგომებიც, მაგალითად, მშობლისა და ბავშვის ურთიერთობის გაუმჯობესებაზე ფოკუსირებული პროგრამები; პროგრამები, რომლებიც მიზნად ისახავს ქცევითი პრობლემების მქონე ბავშვის კოგნიტური და სოციალური უნარების განვითარებას და ა.შ.

ბოლო დროს ზოგიერთ ქვეყანაში მნიშვნელოვან ყურადღებას უთმობენ პრევენციულ პროგრამებს. ასეთი პროგრამები ეყრდნობა სამ მნიშვნელოვან მოსაზრებას:

- ქცევითი პრობლემების მოგვარება უფრო ადვილი და ეფექტურია შედარებით უმცროსი ასაკის ბავშვებში;
- ადრეულ ასაკში რისკ-ფაქტორების ზეგავლენის შესუსტებითა და დამცავი ფაქტორების გაძლიერებით მეტ-ნაკლებად შესაძლებელია მომავალში აგრესიული ქცევის, თანატოლების მიერ გარიყვის, დაბალი თვითშეფასების, ქცევითი აშლილობის და აკადემიური წარუმატებლობის თავიდან აცილება;
- გრძელვადიანი შედეგების თვალსაზრისით, პრევენციული პროგრამები ხელს უწყობს საგანმანათლებლო, სასჯელაღსრულებით და ჯანდაცვის სფეროებში ხარჯების შემცირებას, რომლებიც თან ახლავს ქცევით პრობლემებს.

# ელექტრონული სასწავლო რესურსები

**ელექტრონული სასწავლო რესურსების შექმნა ინფორმაციული ტექნოლოგიების სწრაფ განვითარებას მოჰყვა. კომპიუტერი გარკვეული შინაარსის ინფორმაციის მიღება-გადამუშავებას ემსახურება, სასწავლო გარემოში განთავსებული კომპიუტერი კი საგანმანათლებლო შინაარსის პროგრამებისა და რესურსების სასწავლო პროცესში გამოყენებაზე უნდა იყოს ორიენტირებული. თუ თავდაპირველად კომპიუტერით სკოლაში მხოლოდ ინფორმაციული ტექნოლოგიები ან პროგრამირება ისწავლებოდა, მომდევნო პერიოდში, მულტიმედია ტექნოლოგიების განვითარებასთან ერთად, შესაძლებელი გახდა სხვადასხვა ტიპის სასწავლო რესურსების აქტიური გამოყენება სხვა საგნების სწავლებაშიც.**

მერაბ ლაბაძე

ინტერნეტი სულ უფრო მეტად ხდება სამუშაო, სასწავლო თუ ტრენინგ გარემოს განუყოფელი ნაწილი. ამ გარემოში სხვადასხვა შინაარსისა და ხასიათის ინფორმაციას მომხმარებელიც განსხვავებული ჰყავს. ინტერნეტში განთავსებადი სასწავლო ხასიათის რესურსები სულ უფრო მრავალფეროვანი ხდება. ისინი, შესაძლოა, მოიცავდეს ონლაინ კურსებს, გაკვეთილების გეგმებს, სიმულაციებს, ექსპერიმენტებს, პრეზენტაციებს, ანგარიშებს, ელექტრონულ სახელმძღვანელოებს, ვიდეო-გაკვეთილებს, თამაშებს და სხვ. სწავლების საგნებიც პრაქტიკულად შეუზღუდავია: ხელოვნება, ინჟინერია, მეცნიერება, ბიზნესი, ტექნოლოგიები, სოფლის მეურნეობა და სხვ. სასწავლო ციფრული რესურსების შემოთავაზება ხდება როგორც სხვადასხვა ტიპის ორგანიზაციების მიერ, ასევე კერძო პირებისა თუ პროფესიული ჯგუფების, უნივერსიტეტებისა თუ ექსპერტების მიერ. განსხვავებულია აღნიშნული რესურსების გამოყენების ლიცენზიაც – ზოგი კომერციულია, ზოგი უფასოდ გავრცელებადი, ზოგიერთის გამოყენებაზე გარკვეული შეზღუდვებია დაწესებული.

## ელექტრონული სასწავლო რესურსების ტიპები

ბუნებრივია, სასწავლო ელექტრონულ რესურსად, პირველ რიგში, სახელმძღვანელოს ციფრული ვარიანტი შეიძლება წარმოვიდგინოთ. ინტერნეტში საკმაოდ ბევრი ელექტრონული სახელმძღვანელოა, თუმცა გასათვალისწინებელია, რომ ასეთი რესურსები მეტწილად ინგლისურენოვანია. პოპულარულია ელექტრონული ბიბლიოთეკებიც, რომლებიც ხშირად ამა თუ იმ ფორმატის ჩამოტვირთვადი ტექსტების კოლექციას წარმოადგენს. ზოგჯერ სახელმძღვანელოს ინტერნეტზე მორგებული ფორმატი აქვს. ამ შემთხვევაში, ის გამდიდრებულია ინტერაქტიული ან მულტიმედიური ელემენტებით, მაგალითად, ელექტრონული ტესტებით, სხვა რესურსებზე ბმულებით ან ჩაშენებული ვიდეოებით.

სასწავლო-საცნობარო ხასიათს ატარებს მომხმარებლების მიერ შექმნილი ინტერნეტ-ენციკლოპედია – ვიკიპედია (*www.wikipedia.org*). მსგავსი ტიპის ელექტრონულ რესურსებს ზოგჯერ ვიკის ტიპის რესურსებს უწოდებენ. ვიკიპედიაში სასწავლო ხასიათის სტატიები მეცნიერების პორტალშია ინდექსირებული: *http://en.wikipedia.org/wiki/Portal:Science*

საგანმანათლებლო ელექტრონულ რესურსს წარმოადგენს ასევე სასწავლო მიზნებით შექმნილი კომპიუტერული პროგრამებიც. ისინი შეიძლება იყოს როგორც ცალკეულ კომპიუტერზე ან კომპი-

> **სასწავლო შინაარსით დატვირთული ელექტრონული რესურსების შექმნა და მათი გამოყენების ხელშეწყობა განვითარებული ქვეყნების განათლების პოლიტიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილია.**

უტერების ჯგუფზე გასაშვები, ასევე ინტერნეტში განთავსებული. სასწავლო პროგრამები გამოიყენება ექსპერიმენტების ან ბუნებრივი პროცესების სიმულაციისთვის, უცხო ენის შესასწავლად, ტესტირებისთვის, თვითშეფასებისთვის და სხვ. სასწავლო რესურსია ასევე პროგრამა, რომელსაც ციფრული თამაშის ფორმა აქვს.

მულტიმედიური ტექნოლოგიების განვითარებასთან ერთად სულ უფრო მეტი საგანმანთლებლო რესურსი თავსდება ინტერნეტში აუდიო-ვიდეო-ლექციისა თუ ვიდეო-გაკვეთილის სახით. ზოგი ექსპერიმენტებს აღწერს, ზოგი



http://en.wikipedia.org/wiki/Portal:Science

თეორიულ მასალას გადმოსცემს. ასეთი ვიდეო-მასალები ისეთ პოპულარულ ვებ-გვერდზეც მოიპოვება, როგორიცაა youtube.com. საინტერესოა ვიდეო-ლექციის ტიპი, რომელიც სალმან ხანის აკადემიასთან არის დაკავშირებული. აკადემიის ვიდეო ბიბლიოთეკაში (*http://www.khanacademy.org*) განთავსებულია 1800-ზე მეტი ვიდეო-ლექცია, რომლებიც ელექტრონულ დაფაზე ვირტუალური ფანქრით წერის და პარალელურად მასალის ხმოვანი ახსნის პროცესს წარმოადგენს. დაახლოებით 10-წუთიანი ლექციების დროს ახსნილია სასკოლო მასალა მათემატიკაში, საბუნებისმეტყველო საგნებში, ისტორიაში, ასევე ფინანსებსა და სტატისტიკაში. ვებ-გვერდზე განთავსებულია 70-მდე ავტომატიზებული ტესტიც, რომელთა გავლა რეგისტრაციის შემდეგ შეიძლება. იგეგმება ლექციების თარგმნა სხვადასხვა ენაზე.

ელექტრონული სასწავლო რესურსია საგანმანათლებლო ვებ-გვერდიც. სასწავლო ხასიათის ვებ-გვერდების შექმნას ემსახურება კომპანია Oracle-ის მიერ დაფინანსებული საერთაშორისო კონკურსი Thinquest. სამი ასაკობრივი კატეგორიის მოსწავლეთა გუნდები, მასწავლებელთა ხელმძღვანელობით, ქმნიან და ინტერნეტში ათავსებენ საინტერესო ვებ-გვერდებს სხვადასხვა საგანში. პოპულარულია ისეთი თემები, როგორიცაა სამოქალაქო განათლება, ლიდერობა, გარემოს დაცვა. იხ. *www.thinkquest.org*

## ციფრული სასწავლო რესურსების გამოყენება

სასწავლო შინაარსით დატვირთული ელექტრონული რესურსების შექმნა და მათი გამოყენების ხელშეწყობა განვითარებული ქვეყნების განათლების პოლიტიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილია. იმ განათლების სისტემებში, რომლებიც სასწავლო პროცესში ტექნოლოგიებს აქტიურად ნერგავენ, ორ მიდგომას გამოყოფენ.

პირველი მიდგომა უფრო ცენტრალიზებულია და ითვალისწინებს ერთიანი ელექტრონული სასწავლო სისტემის შექმნას ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად. ასეთი ტიპის სასწავლო პლატფორმები ხშირად კომერციულია, გამოირჩევა ერთგვაროვანი ინტერფეისით და ინერგება სკოლების უმრავლესობაში. როგორც წესი, ისინი ადაპტირებულ მზა სასწავლო მასალებს იყენებენ. ენის სპეციფიკის გამო სასწავლო პლატფორმები უფრო ხშირად საბუნებისმეტყველო საგნებისა და უცხო ენების სწავლებისათვის გამოიყენება. ასეთი სასწავლო პლატფორმების მაგალითებია სივეკო (*www.siveco.ro*) და YDP (*www.ydp.eu*).

მეორე მიდგომა დეცენტრალიზებულია. მთელი სასწავლო პლატფორმის შექმნის ნაცვლად აქცენტი კეთდება ელექტრონული სასწავლო რესურსებისა და მათი ელემენტების – *ე.წ. ციფრული სასწავლო ობიექტების* შექმნასა და ინტერნეტ-პორტალზე მათ განთავსებაზე. მასწავლებელს, საკუთარი საჭიროებებიდან გამომდინარე, შეუძლია მოძებნოს სასწავლო ელემენტები და ერთ ან რამდენიმე გაკვეთილში გამოიყენოს. სწორედ ასეთი სასწავლო ობიექტები წარმოადგენს თანამედროვე საგანმანათლებლო პორტალების ყველაზე ღირებულ ნაწილს. აღსანიშნავია, რომ ხშირად მასწავლებელს საშუალება ეძლევა, საკუთარი რესურსი ინტერნეტში განათავსოს და ამ გზით კოლეგებისათვის ხელმისაწვდომი გახადოს.

პორტალზე სასწავლო მასალების რაოდენობის ზრდისას სულ უფრო მნიშვნელოვანი ხდება მათი ხარისხის საკითხი. ჩვეულებრივ, მასალებს ექსპერტები აფასებენ, თუმცა მასწავლებლისთვის კოლეგების შეფასებები და რეიტინგებიც საგულისხმოა. სასწავლო მასალების პორტალზე შესაძლებელია აგრეთვე კომენტარების დატოვება და რეკომენდაციების მიცემა ამ რესურსების გაკვეთილზე გამოყენების კუთხით.

## ელექტრონული სასწავლო მასალების მახასიათებლები

სასწავლო პროცესის მხარდასაჭერად შექმნილი ელექტრონული რესურსები მომხმარებლის საჭიროებებს უნდა ითვალისწინებდეს. მათი მოძებნა და გამოყენება სირთულეს არ უნდა უკავშირდებოდეს.

სასწავლო ელექტრონული რესურსის შეფასებისთვის მნიშვნელოვანია შემდეგი კრიტერიუმების გათვალისწინება:

- გაკვეთილზე ელექტრონული რესურსის გამოყენება უნდა ზრდიდეს მოსწავლის ჩართულობასა და მოტივაციას;
- ელექტრონული რესურსი უნდა იყოს დაკავშირებული ეროვნულ სასწავლო გეგმასთან და კომპეტენციების სტანდარტებთან;
- შესაძლებელი უნდა იყოს რესურსის ან მისი ნაწილის ადაპტირება სხვადასხვა სიტუაციისათვის;
- ელექტრონული რესურსი ხელს უნდა უწყობდეს მასწავლებელსა და კლასს შორის, ასევე მოსწავლეებს შორის კომუნიკაციას, სწავლა-სწავლების ახლებური მეთოდების გამოყენებას;
- სასურველია, სასწავლო ელექტრონული რესურსის გამოყენება შეიძლებოდეს სხვადასხვა დროს, კერძოდ, ინდივიდუალური დავალებისა და ჯგუფური სამუშაოს შესრულებისას, ან მასწავლებლის მიერ კონტროლირებადი აქტივობის დროს;
- შესაძლებელი უნდა იყოს ელექტრონული რესურსის გამოყენება მიმდინარე ან შემაჯამებელი შეფასებისთვის;
- აუცილებელია, ციფრულ სასწავლო რესურსს ჰქონდეს სტანდარტული ფორმატი, რაც უზრუნველყოფს მის თავსებადობას სხვადასხვა ოპერაციულ სისტემასთან და გავრცელებულ პროგრამებთან.




ინტერნეტში სასწავლო ინფორმაციის მოძიებას, ტექნოლოგიებით გამდიდრებული გაკვეთილის გეგმის შექმნასა და ავტორიზების ინსტრუმენტებით საკუთარი რესურსების შექმნის საფუძვლებს ქართველი მასწავლებელი მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ტრენინგ-პროგრამის საშუალებით შეიძლება დაეუფლოს.

## ელექტრონული სასწავლო ობიექტები და მათი კოლექციები

ბოლო დროს პოპულარული გახდა ელექტრონული სასწავლო ობიექტის ცნება. ასეთი სასწავლო ობიექტი შედარებით მცირე ზომის (ან შეზღუდული ხანგრძლივობის, გამოყენების ვიწრო სფეროს მქონე) სასწავლო რესურსია. მისი ერთ-ერთი განმარტება ასეა ჩამოყალიბებული: *ციფრული სასწავლო ობიექტი არის ხელახლა გამოყენებადი მასალების ერთობლიობა, რომელიც გააზრებულად სტრუქტურირებულია და დაკავშირებულია გარკვეულ საგანმანათლებლო ამოცანასთან.* ასეთი ობიექტი შეიძლება მოიცავდეს დოკუმენტებს, სურათებს, სიმულაციებს, ვიდეოებს, აუდიო ჩანაწერებს და ა.შ. გააზრებულად სტრუქტურირება გულისხმობს,




www.soft.dlf.ge

რომ მასალები ერთმანეთთან დაკავშირებული და ლოგიკურად დაწყობილია. მნიშვნელოვანია, სასწავლო ობიექტს ჰქონდეს მკაფიო საგანმანათლებლო დანიშნულება და ახლდეს მითითება, თუ რისთვის და როდის გამოიყენება. ასეთი მახასიათებლები (საგანი, თემა, კლასი, ობიექტის ტიპი, ფორმატი და სხვ.) სასწავლო რესურსის ე.წ. მეტამონაცემებს წარმოადგენს. სწორედ მათი საშუალებით ხდება რესურსების მოძიება და კლასიფიკაცია. მაგალითად, რომელიმე საგანმანათლებლო პორტალზე „ფიზიკის“ აკრეფისას მოძიებადი უნდა იყოს ყველა ელექტრონული რესურსი, რომელსაც მეტამონაცემებში ფიზიკა აქვს მითითებული.

უფასო ელექტრონული რესურსების კოლექციაა განთავსებული ღია საგანმანათლებლო რესურსების ვებ-გვერდზე *http://www.oercommons.org* საყურადღებოა ასევე ციფრული ობიექტების ევროპული ურთიერთგაცვლადი რეპოზიტორია: *http://lreforschools.eun.org* საბუნებისმეტყველო საგნებისა და მათემატიკის შესასწავლად ციფრული რესურსები და ტრენინგ-კურსები განთავსებულია ვებ-გვერდზე: *http://www.scientix.eu*

## ქართული ციფრული სასწავლო რესურსები

ელექტრონული სასწავლო რესურსები საქართველოშიც იქმნება – როგორც მასწავლებელთა მიერ, ასევე ცენტრალიზებულად თუ სხვადასხვა პროექტის ფარგლებში. ზოგიერთი მასწავლებლისათვის ნაცნობია პორტალი Lemill.net, რომელზეც მათ მიერ შექმნილი თუ მოძიებული რესურსების, მათ შორის ტექნოლოგიებით გამდიდრებული გაკვეთილის გეგმების განთავსებაა შესაძლებელი. პორტალზე რესურსები იძებნება საგნის, ტიპის, დანიშნულების და სხვა მახასიათებლების მიხედვით.

მათემეტიკასა და საბუნებისმეტყველო საგნებში ელექტრონული რესურსების კოლექციაა განთავსებული soft.dlf.ge-ზე. აქ ნახავთ ფიზიკისა და ქიმიის ვირტუალურ ლაბორატორიებს, ტესტებს მათემატიკაში, ვიზუალიზაციებსა და აპლეტებს.

ლიტერატურის სწავლებისათვის საყურადღებოა ის ციფრული რესურსები, რომლებიც ქართული სკოლების ძალისხმევით შეიქმნა და ინტერნეტში განთავსდა. ქართველ და უცხოელ მწერალთა ცხოვრებისა და შემოქმედებისადმი მიძღნილი ვებ-გვერდების ბმულები შეგიძლიათ იხილოთ ამ მისამართზე: *http://dlf.ge/ge/links/links2/*

ამჟამად ციფრული რესურსების თავმოყრა ხდება განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ვებ-გვერდზე www.buki.ge. აქ იპოვით საგნებისა და კლასების მიხედვით მოძიებად ელექტრონულ რესურსებს გეოგრაფიაში, ქართულ ენაში, ინგლისურ ენაში, მათემატიკასა და ფიზიკაში. ნახავთ სასწავლო თამაშებს დაწყებითი კლასების მოსწავლეებისათვის. აქვეა განთავსებული ელექტრონული ბიბლიოთეკაც.

http://dlf.ge/ge/links/links2/

# ბავშვი, სკოლა და ჯანსაღი ცხოვრების წესი

**ცნობილია, რომ ფიზიკური განვითარება პიროვნების სრულყოფილი, ჰარმონიული ჩამოყალიბების აუცილებელი პირობაა. მასზე, ძირითადად, ოჯახმა და სკოლამ უნდა იზრუნოს. მოზარდს ადრეული ასაკიდანვე უნდა ჩავუნერგოთ ფიზიკური აქტივობისა და ჰიგიენის დაცვის აუცილებლობის შეგნება.**

ქეთევან ქოზალია

საქართველოში, სხვადასხვა მიზეზის გამო, ფიზიკური აღზრდის სისტემა მოშლილი აღმოჩნდა. ათწლეულების განმავლობაში განათლების სისტემის დაფინანსების ნაკლებობამ სკოლის ინფრასტრუქტურის დაზიანება გამოიწვია, რაც სპორტული მოედნებისა და დარბაზების მდგომარეობაზეც აისახა. დროთა განმავლობაში სპორტული ინვენტარის მწვავე დეფიციტი შეიქმნა.

აღნიშნულმა ვითარებამ ფიზიკური აღზრდის მიმართ არა მხოლოდ მოსწავლეთა, არამედ მშობლებისა და მასწავლებლების დამოკიდებულებაც შეცვალა. ფიზიკური აღზრდის გაკვეთილებზე ბევრმა სკოლამ უარი თქვა და ისინი სხვა საგნებით ჩაანაცვლა. ამ გაკვეთილებით არც მოსწავლეები ინტერესდებოდნენ.

დაწყებით კლასებში ფიზიკური აღზრდის გაკვეთილებს, ძირითადად, კლასის დამრიგებლები ატარებდნენ, რომლებიც საგნის სპეციალისტები არ იყვნენ. მაღალ კლასებში, ხშირ შემთხვევაში, ფიზიკური აღზრდის გაკვეთილები საერთოდ არ ტარდებოდა. ამას არც მშობლები აქცევდნენ ყურადღებას. ფიზიკური აქტივობების ნაკლებობამ და პასიური ცხოვრების სტილმა კი ახალგაზრდების ჯანმრთელობაზე იმოქმედა.

შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 2002-2009 წლების მონაცემების თანახმად, 18 წლამდე ასაკის ბავშვებში იმატა ისეთმა დაავადებებმა, როგორიცაა: სკოლიოზი (+30%), ტანადობის დარღვევა (35%), თვალის დაავადება (+27%) და სხვ. განსაკუთრებით შემაშფოთებელია ახალგაზრდების ძვალ-კუნთოვანი სისტემის დაავადებების 46%-მდე გაზრდა.

ამ დაავადებების გამომწვევ ერთ-ერთ მიზეზს მოზარდების მიერ თავისუფალი დროის არასწორად გამოყენება წარმოადგენს. მათი უმრავლესობა საათობით უზის კომპიუტერსა და ტელევიზორს და საერთო ჯამში, დღეში 10-12 საათის განმავლობაში სტატიკურ მდგომარეობაში იმყოფება. კომპიუტერი და ტელევიზორი კაცობრიობის დიდი მონაპოვარია, მაგრამ საათობით უძრავად ჯდომა ვნებს ბავშვის მხედველობას, ტანადობას, სისხლ-ძარღვთა სისტემასა და სხვ. ამასთანავე, პასიური ცხოვრების

> ევროკავშირის ყველა ქვეყანაში ფიზიკური განათლება ეროვნული სასწავლო პროგრამის სავალდებულო ნაწილს წარმოადგენს ყველა ასაკობრივი ჯგუფისთვის. არც ერთ ქვეყანაში მას სხვა აკადემიური დისციპლინების მსგავსი სტატუსი არა აქვს. ფიზიკური განათლების სტატუსი უფრო მაღალია, რადგან ის დაკავშირებულია არა მხოლოდ ცოდნის მიღებასთან, არამედ ჯანმრთელობასა და სასიცოცხლო უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებასთან.



წესი ახალგაზრდებს ისეთი მავნე ჩვევების შეძენისკენ უბიძგებს, როგორიც არის თამბაქოს, ალკოჰოლისა და ნარკოტიკების მოხმარება.

დასავლეთ ევროპის ქვეყნების გამოცდილების შესწავლისას დადასტურდა, რომ ფიზიკური განათლება სკოლის მუშაობის ღირებული და მნიშვნელოვანი ნაწილია. ბევრმა ქვეყანამ გააცნობიერა, რომ აუცილებელია ფიზიკური განათლებისა და მასთან დაკავშირებული საქმიანობის მნიშვნელობის გაზრდა, რათა ახალგაზრდებმა ჯანმრთელობა შეინარჩუნონ და უპირატესობა ჯანსაღი ცხოვრების წესს მიანიჭონ.

ევროკავშირის ყველა ქვეყანაში ფიზიკური განათლება ეროვნული სასწავლო პროგრამის სავალდებულო ნაწილს წარმოადგენს ყველა ასაკობრივი ჯგუფისთვის. არც ერთ ქვეყანაში მას სხვა აკადემიური დისციპლინების მსგავსი სტატუსი არა აქვს. ფიზიკური განათლების სტატუსი უფრო მაღალია, რადგან ის დაკავშირებულია არა მხოლოდ ცოდნის მიღებასთან, არამედ ჯანმრთელობასა და სასიცოცხლო უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებასთან.

ევროპულ მოდელს „პირამიდის სტურქტურა“ აქვს, რომლის ფუძესაც სპორტული კლუბებისა და სკოლების ქსელი ქმნის, შუაში სპორტის მმართველი რგოლი – ეროვნული და საერთაშორისო ფედერაციები და ასოციაციებია, ხოლო წვერში პროფესიული სპორტია.

ბოლო წლებში საქართველოში რადიკალურად შეიცვალა ხელისუფლების მიდგომა ბავშვებისა და მოზარდების ფიზიკური განათლებისადმი. გადაიდგა ნაბიჯები, რომელთა შორის განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს საქართველოს პარლამენტში ახალი სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომიტეტის და მასთან არსებული სამუშაო რგოლის – სპორტის ექსპერტთა სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს შექმნა. ამ საბჭომ მიზნად დაისახა ფიზიკური განათლებისა და სპორტის ახალი ეროვნული სტრატეგიის შემუშავება.

საინტერესო ინიციატივები განხორციელდა ბავშვთა სპორტთან მიმართებაში. სპორტის ეროვნული ფედერაციები, სხვადასხვა პარტნიორთან თანამშრომლობით, 2007 წლიდან ატარებენ პოპულარულ საბავშვო შეჯიბრს – „მხიარულ სტარტებს“, რომელშიც სკოლებისა და სასწავლებლების მოსწავლეთა გუნდები მონაწილეობენ. მასში 45000-ზე მეტი ბავშვი, 400-მდე სკოლის გუნდია ჩართული. 2008-2009 წლების სპორტულ სეზონში საქართველოს ხელბურთის ეროვნულმა ფედერაციამ, ევროპის ხელბურთის ფედერაციის მხარდაჭერით, სკოლის ხელბურთის განვითარების პროგრამის განხორციელება დაიწყო, რომლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტიც მინი-ხელბურთში შეჯიბრებებისა და ფესტივალების ჩატარებაა. ასევე აღსანიშნავია საქართველოს რაგბის კავშირის მუშაობა ბავშვთა რაგბის განვითარებისთვის. რეგულარულად იმართება რესპუბლიკური, რეგიონული და საქალაქო საბავშვო სარაგბო ფესტივალები.

წელს მნიშვნელოვანი ცვლილებები ხორციელდება სასკოლო განათლების სფეროში. სასწავლო საგანი „ფიზიკური აღზრდა“ შეიცვალა საგნით „სპორტი“. ახალი საგნობრივი პროგრამის თანახმად, დაწყებით საფეხურზე აქცენტი

კეთდება ძირითადი ფიზიკური უნარ-ჩვევების გამომუშავებასა და ფიზიკური თვისებების განვითარებაზე. საბაზო და საშუალო საფეხურებზე მოზარდებს საშუალება ეძლევათ, მათთვის საინტერესო სპორტის სახეობა აირჩიონ სკოლის დირექციის მიერ შეთავაზებული, სულ მცირე, 3 სახეობიდან. ასეთი სიახლე მოსწავლეთა მოტივაციის გაზრდას შეუწყობს ხელს. სპორტულ აქტივობებში ისინი უფრო მეტად ჩაერთვებიან. შიდა სასკოლო, რაიონული და ქვეყნის მასშტაბით ჩატარებული სპორტული შეჯიბრებები მოსწავლეებისთვის წამახალისებელ გარემოს შექმნის.

სკოლებში სპორტის შემოტანა სპორტულ საქმიანობაში მხოლოდ წარმატებული მოსწავლეების ჩართვას არ გულისხმობს. ისეთი პირობები უნდა შეიქმნას, რომ სპორტულ ვარჯიშსა და შეჯიბრებებში მონაწილეობის მიღება ყველა მოსწავლემ შეძლოს. ხალისიანმა და შედეგიანმა გაკვეთილებმა უნდა დაარწმუნოს მოზარდები საკუთარი ფიზიკური უნარების განვითარების შესაძლებლობასა და აუცილებლობაში, ხელი უნდა შეუწყოს მათ თვითდამკვიდრებას.

წელს, მასწავლებელთა დასახმარებლად, ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრმა მოამზადა „გზამკვლევების კრებული სპორტის სახეობებში ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის“. ამ კრებულში სპორტის 26 სახეობის სასწავლო პროგრამაა შესული. მის შედგენაში მონაწილეობა მიიღეს სპორტის ფედერაციების წარმომადგენლებმა და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სპორტის ფაკულტეტის პროფესორებმა.

მიუხედავად სირთულეების დასაძლევად გადადგმული ნაბიჯებისა, ზოგადსაგანმანათლებო სკოლები ჯერ კიდევ პრობლემების წინაშე იმყოფებიან. სკოლების დიდ უმრავლესობას არა აქვს სათანადო სპორტული ინფრასტრუქტურა. რიგ სკოლებში მხოლოდ ღია ან მხოლოდ დახურული სპორტული დარბაზებია. დიდკონტინგენტიან სკოლებში არასაკმარისია ერთი დარბაზის ან მოედნის არსებობა. დარბაზებისა და მოედნების ნაწილი არასათანადო მდგომარეობაშია. ხშირ შემთხვევაში, სკოლებს არ აქვთ სპორტული ინვენტარი იმისათვის, რომ საგნის სწავლება უფრო ეფექტიანად წარიმართოს.

სკოლების უმრავლესობა აღნიშნული საგნის ბოლო გაკვეთილზე ჩატარებას ვერ ახერხებს. სპორტული აქტივობის შემდეგ მოსწავლე იძულებულია, მოწესრიგების გარეშე დაბრუნდეს საკლასო ოთახში. მტკივნეულ საკითხს წარმოადგენს პროფესიონალი კადრების ნაკლებობაც. ეს პრობლემა განსაკუთრებული სიმწვავით პატარა სოფლებში დგას.

ფიზიკური განვითარების ახალი, თანამედროვე სისტემის შესაქმნელად სახელმწიფოებრივი ზრუნვა, განსაკუთრებული პოლიტიკური ნებაა საჭირო. ყველა პირობა უნდა შეიქმნას სპორტში ბავშვთა და მოზარდთა მასობრივი ჩაბმისა და ახალგაზრდა თაობის ჯანმრთელობის განმტკიცებისთვის. საქართველოში ფიზიკური განათლებისა და სპორტის განვითარების მხარდაჭერა ქვეყნის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრიორიტეტია, ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრება კი ქვეყნის განვითარების უმნიშვნელოვანეს ამოცანას წარმოადგენს.

თეა შავერდაშვილი

# განთლება საფრანგეთში

> **აკადემიური თუ სოციალური პრობლემების მქონე მოსწავლეები სწავლას სპეციალიზებულ პროფესიულ კოლეჯებში აგრძელებენ, სადაც მათ საშუალება ეძლევათ, სხვადასხვა სპეციალობაში დახელოვდნენ.**

## სასკოლო სისტემა

საფრანგეთსა და ფრანგულენოვან ქვეყნებში, რომელთა მოსახლეობის რაოდენობრივი მაჩვენებელი 2002-2003 წლებში 60 000 000-ს აღემატებოდა, მოსწავლეთა და სტუდენტთა რაოდენობა 14 940 900-ს შეადგენდა. აქედან 6 529 000 დაწყებითი საფეხურის სასწავლო დაწესებულებებზე (სკოლამდელი/დაწყებითი სკოლა) მოდიოდა, 5 596 000 – საშუალო საფეხურის სასწავლო დაწესებულებებზე და 2 209 000 – უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებზე.

საფრანგეთში სასკოლო სისტემაზე პასუხისმგებლობას განათლების სამინისტრო და განათლების მინისტრი იღებს.

უფასო სახელმწიფო სწავლება დაწყებითი საფეხურის მოსწავლეთა 86,5%-ის და საშუალო საფეხურის მოსწავლეთა 79,9%-ის განათლებას უზრუნველყოფს.

არსებობს კერძო საგანმანათლებლო დაწესებულებებიც, რომლებიც სახელმწიფოსთან კონტრაქტის საფუძველზე თანამშრომლობენ.

საფრანგეთის განათლების სამინისტრო დეტალურად განიხილავს თითოეული საფეხურის სასწავლო პროგრამებს და პედაგოგიურ მიმართულებებს, ასევე, უზრუნველყოფს მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებას და მათ შერჩევას სხვადასხვა სასწავლო დაწესებულებაში დასასაქმებლად.

სამინისტრო ადგენს სასწავლო დაწესებულებების სტატუსს, ფუნქციონირების წესებს და ფუნქციონირებისთვის აუცილებელ თანამდებობებს.

გარდა ამისა, განათლების სამინისტრო საგამოცდო პროცესების ორგანიზატორია და გასცემს ეროვნულ დიპლომებს.

## სკოლამდელი განათლება

სკოლამდელი განათლება სავალდებულო არ არის, თუმცა 3 წლის ასაკიდან მშობლების უმრავლესობას ბავშვები საბავშვო ბაღში დაჰყავს.

სახელმწიფო დაწესებულებებში სკოლამდელი განათლება უფასოა.

სკოლამდელ დაწესებულებაში დასაქმებული მასწავლებლები დაწყებითი საფეხურის მასწავლებელთა ჯგუფს მიეკუთვნებიან და საშუალო სკოლის მასწავლებლის დიპლომს ფლობენ.

## სწავლების სავალდებულო საფეხურები

სწავლა სავალდებულოა 6-დან 16 წლამდე.

ასაკობრივი ჯგუფები გადანაწილებულია სწავლების დაწყებით და საშუალო საფეხურებზე.

დაწყებითი საფეხურის ასაკობრივ ჯგუფში ერთიანდებიან 6-დან 11 წლამდე მოსწავლეები. დაწყებითი საფეხური დაყოფილია ციკლებად.

- პირველი ციკლის მოსწავლეებად მოიაზრებიან საბავშვო ბაღის ასაკის ბავშვები;
- მეორე ციკლში ერთიანდება დაწყებითი საფეხურის პირველი და მეორე კლასები;
- მესამე ციკლი კი აერთიანებს დაწყებითი საფეხურის მე-3, მე-4 და მე-5 კლასის მოსწავლეებს.

საშუალო საფეხურის საწყისი ეტაპი, ანუ კოლეჯი მე-6 კლასიდან იწყება.

კოლეჯის მოსწავლეებად 11-დან 15 წლამდე მოზარდები ითვლებიან.

საშუალო საფეხურის მომდევნო ეტაპს წარმოადგენს ლიცეუმი, სადაც სწავლის გაგრძელება 15 წლიდან შეიძლება. ის ამასთანავე სავალდებულო სწავლების საბოლოო ეტაპსაც წარმოადგენს.

არსებობს ლიცეუმის ორი ტიპი: ზოგადსაგანმანათლებლო-ტექნიკური ლიცეუმი და  პროფესიული ლიცეუმი.

## სკოლაში მიღების კრიტერიუმები

საფრანგეთში სახელმწიფო განათლება უფასოა.

მოსწავლეთა სკოლაში ჩაწერა ხდება სექტორული დაყოფის პრინციპით, რაშიც მათი საცხოვრებელი ადგილი (რეგიონი, გეოგრაფიული ზონა) იგულისხმება.

კერძო საგანმანათლებლო დაწესებულებებში მოსწავლეთა ჩაწერა მშობლების სურვილის შესაბამისად ხდება. ამ შემთხვევაში, ისინი ირჩევენ მათთვის ხელსაყრელი პირობებისა და ადგილმდებარეობის მქონე კერძო სასწავლო დაწესებულებას.

სწავლების გადასახადი საკმაოდ დაბალია კონტრაქტის მფლობელ კერძო სასწავლო დაწესებულებებში, რადგან ასეთი სკოლები სახელმწიფოსგან მნიშვნელოვან ფინანსურ მხარდაჭერას იღებენ.

## კლასების შემადგენლობა/ მოსწავლეთა ჯგუფები

კლასში მოსწავლეთა რაოდენობა მკაცრად განსაზღვრული არ არის.

დაწყებით სკოლაში კლასში მოსწავლეთა რაოდენობის საშუალო მაჩვენებელია 25, კოლეჯში – 24, ზოგადსაგანმანათლებლო და ტექნიკურ სასწავლო დაწესებულებაში – 28, ხოლო პროფესიულ სასწავლებელში – 20.

დაწყებით საფეხურზე მოსწავლეებს ყველა საგანში ერთი და იგივე მასწავლებელი ჰყავთ.

რაც შეეხება საშუალო საფეხურს, სწავლება საგნობრივია და განსხვავებულ საგნებს სხვადასხვა მასწავლებელი ასწავლის.

## შეფასება და სერტიფიცირება

სწავლების დაწყებით და საშუალო საფეხურებზე მოსწავლეები სისტემატურად ფასდებიან მთელი სასწავლო წლის მანძილზე.

საფრანგეთის სასკოლო სისტემის განმასხვავებელი თავისებურებაა კლასების კლებადი თანმიმდევრობა დაწყებითი საფეხურის შემდეგ. ეს იმას ნიშნავს, რომ კოლეჯში კლასების თანმიმდევრობა მოცემულია უკუთვლით: მე-6, მე-5, მე-4 და მე-3 კლასები.

სასწავლო პროცესი დაყოფილია სამ ციკლად:

- ადაპტაციის ციკლი, რომელიც მოიცავს მე-6 კლასამდე პერიოდს;
- ძირითადი ციკლი, რომელშიც იგულისხმება კოლეჯის მე-5 და მე-4 კლასები;
- ორიენტაციის ციკლი, რომელიც შეესაბამება კოლეჯის მე-3 კლასს.

აკადემიური თუ სოციალური პრობლემების მქონე მოსწავლეები სწავლას სპეციალიზებულ პროფესიულ კოლეჯებში აგრძელებენ, სადაც მათ საშუალება ეძლევათ, სხვადასხვა სპეციალობაში დახელოვდნენ.

კოლეჯის დასრულების შემდეგ მოსწავლე ეროვნულ დიპლომს (ატესტატს/სერტიფიკატს)იღებს. მის წარმატებით აღებას ბოლო ორი სასწავლო წლის მანძილზე (კოლეჯის მე-4 და მე-3 კლასები) და ასევე, საგამოცდო ტესტების შესრულებისას დაგროვილი ქულების რაოდენობა განსაზღვრავს.

## სწავლება საშუალო საფეხურის მომდევნო და შემდგომ ეტაპებზე

კოლეჯის დასრულების შემდეგ მოსწავლეებს სამი შესაძლებლობა აქვთ:

- ძირითადი მიმართულება, რომელიც განისაზღვრება 3 მომდევნო კლასის (მეორე, პირველი და დამამთავრებელი კლასები) გავლით და სრულდება ბაკალავრის დიპლომის მოპოვებით;
- ტექნოლოგიური მიმართულება, რომელიც ასევე გულისხმობს 3 მომდევნო კლასს და ბაკალავრის დიპლომს ტექნიკური განხრით;
- პროფესიული მიმართულება, რაც ნიშნავს შემდგომი ორი წლის მანძილზე სწავლის გაგრძელებას პროფესიული მიმართულებით და შესაბამისი სერტიფიკატის (CAP – პროფესიული განვითარების დიპლომი) ან პროფესიული განათლების შესაბამისი ატესტატის (BEP) მოპოვებას. ამის შემდეგ სავალდებულოა 2 დამატებითი სასწავლო წლის მანძილზე სწავლის გაგრძელება, რაც ბაკალავრის პროფესიული დიპლომის მოპოვებით სრულდება.

თუ მოსწავლეები ჩამოთვლილთაგან პირველ ორ შესაძლებობას აირჩევენ, მათ ზოგადსაგანმანათლებლო-ტექნიკური ლიცეუმი სამწლიან სასწავლო პროცესს სთავაზობს, რაც მეორე, პირველი და დამამთავრებელი კლასების გავლას გულისხმობს. ამის შემდეგ ისინი ბაკალავრის დიპლომის მფლობელები ხდებიან.

მოსწავლეებს ასევე შეუძლიათ 2 სასწავლო წლის შემდეგ აიღონ ატესტატი, რომელიც მათ დასაქმების შესაძლებლობას მისცემს.

გარდა ამისა, სურვილის შემთხვევაში, მოსწავლეებს სწავლის გაგრძელება კიდევ 2 წლით შეუძლიათ, რის შემდეგაც ისინი ბაკალავრის ხარისხის მფლობელები გახდებიან.

## უმაღლესი სასწავლებლები

### სასწავლო დაწესებულებების ტიპები

საფრანგეთში უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებს წარმოადგენენ უნივერსიტეტები, რომელთაგან ყველა სახელმწიფოა, გარდა 5 კათოლიკური უნივერსიტეტისა.

არსებობს ასევე სახელმწიფო და კერძო უმაღლესი სკოლები. ზოგიერთი ინსტიტუტი თუ სკოლა რომელიმე უნივერსიტეტს ექვემდებარება, მაგალითად, ტექნოლოგიების ინსტიტუტი (IUT), რომელიც მსურველებს ტექნოლოგიების მიმართულებით მოკლევადიანი კურსის გავლას სთავაზობს.

ასევე, საინჟინრო სფეროში სპეციალისტების მოსამზადებლად, უნივერსიტეტის დაქვემდებარებაშია პროფესიული ინსტიტუტი (IUP).

გარდა ამისა, მასწავლებელთა გადამზადებას უზრუნველყოფს უნივერსიტეტთან არსებული მასწავლებელთა პროფესიული დახელოვნების ინსტიტუტი (IUFM).

უნივერსიტეტში სწავლის გასაგრძელებლად გამოცდების ჩაბარება საჭირო არ არის, გარდა სამედიცინო, ფარმაცევტული, ტექნოლოგიური და იურიდიული მიმართულებისა.

რაც შეეხება იმ უმაღლეს სკოლებს, რომლებიც პრესტიჟულ სასწავლო დაწესებულებებად ითვლება, ნებისმიერ მათგანში მოსახვედრად კონკურსში მონაწილეობის მიღებაა საჭირო. ამისათვის კი ამავე უმაღლეს სკოლებში ორწლიანი მოსამზადებელი კურსებია გახსნილი.

გარდა ამისა, არსებობს სხვადასხვა უმაღლესი დაწესებულება, სადაც სწავლის გაგრძელება მისაღები გამოცდების საფუძველზე ხდება.

# კლასი

## პრაქტიკული დანართი მასწავლებლებისათვის

# მასწავლებლობის მაძიებელთა რეგისტრაციისა და მაძიებლობის პერიოდის გავლის წესი

## თავი I. ზოგადი დებულებები

**მუხლი 1. რეგულირების საგანი და რეგულირების სფერო**

1. წესი განსაზღვრავს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულ ცენტრში (შემდგომში – ცენტრი) მასწავლებლობის მაძიებლის რეგისტრაციისა და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მაძიებლობის პერიოდის გავლის პირობებს.
2. წესი ვრცელდება საქართველოს მოქალაქეებზე, უცხო ქვეყნის მოქალაქეებსა და მოქალაქეობის არმქონე პირებზე, რომლებსაც სურთ მაძიებლობის პერიოდის გავლა საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში.
3. წესი ასახავს სკოლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა (შემდგომში, სამინისტრო) და აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების განათლების სამინისტროების ტერიტორიული ორგანოს – საგანმანათლებლო რესურსცენტრისა (შემდგომში, რესურსცენტრი) და ცენტრის საქმიანობას მასწავლებლობის მაძიებლის რეგისტრაციისა და მაძიებლობის პერიოდის გავლის პროცესში.

**მუხლი 2. მაძიებლობის მიზანი**

1. მაძიებლობის მიზანია მასწავლებლობის მაძიებლის პროფესიული ცოდნის გაღრმავება, პედაგოგიური უნარ-ჩვევების შეძენა ან/და განვითარება და სასკოლო გარემოსთან ადაპტაცია.
2. მაძიებლობის ერთწლიანი პერიოდის წარმატებით გავლა მასწავლებლობის უფლების მოპოვების წინაპირობაა.

**მუხლი 3. ტერმინთა განმარტება**

წესში გამოყენებულ ტერმინებს ამ წესის მიზნებისთვის აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

ა. მასწავლებლობის მაძიებელი – პირი, რომელიც დროებით ასწავლის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მასწავლებლის სტატუსის მოსაპოვებლად.

ბ. მასწავლებლობის მაძიებლობის კანდიდატი – „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 213 მუხლითა და 61-ე მუხლის მე-3 პუნქტით დადგენილი შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირი, რომელიც ცენტრში მაძიებლად რეგისტრაციის მიზნით რეგისტრაციას გაივლის რესურსცენტრში.

გ. მასწავლებლობის მაძიებლის ინდივიდუალური პროგრამა – მენტორის მიერ მაძიებლის თანამონაწილეობით წერილობით შემუშავებული პროგრამა, რომელიც დაწვრილებით აღწერს მაძიებლობის ერთწლიანი პერიოდის მიზნებს, მაძიებლობის პერიოდის გავლის ეტაპებს, მაძიებლისა და მენტორის მიერ განსახორციელებელი ღონისძიებების ჩამონათვალს, მაძიებლობის პერიოდის გავლის შედეგად მისაღწევ შედეგებს და სამოქმედო გეგმას. მასწავლებლობის მაძიებლის ინდივიდუალური პროგრამა ითვალისწინებს მაძიებლის ცოდნას, უნარებს, შესაძლებლობებსა და გამოცდილებას. ინდივიდუალური პროგრამის საფუძველზე მენტორი უფლებამოსილია შეიმუშაოს ერთ ან რამდენიმე მაძიებელზე გათვლილი სამოქმედო გეგმა.

დ. მაძიებლობის პერიოდი – ერთი სასწავლო წელი, რომლის განმავლობაში მასწავლებლობის მაძიებელი ეწევა პედაგოგიურ საქმიანობას სკოლაში მენტორის ხელმძღვანელობით.

ე. მაძიებლობის პერიოდის გავლის დამადასტურებელი დოკუმენტი – სკოლის ხელმძღვანელის მიერ მაძიებლობის პერიოდის დასრულების შემდეგ გაცემული წერილობითი დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს მაძიებლის პროფესიული ცოდნისა და პედაგოგიური უნარ-ჩვევების შესაბამისობას მასწავლებლის პროფესიულ სტანდარტთან და მასწავლებლის პროფესიული ეთიკის კოდექსთან.

ვ. მასწავლებლობის მაძიებლის რეგისტრაციის საფასური – საფასური, რომელსაც იხდის მაძიებლობის კანდიდატი რესურსცენტრში რეგისტრაციის მიზნით. მაძიებლის რეგისტრაციის საფასური შეადგენს 25 ლარს.

ზ. მენტორი – საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით სერტიფიცირებული მასწავლებელი, რომელიც ასწავლის ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ საგანს/საგნობრივ ჯგუფს სკოლაში. მენტორი ხელმძღვანელობს მაძიებელთა პედაგოგიურ საქმიანობას ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში.

თ. მენტორის/მაძიებლის პორტფოლიო – მენტორის/მაძიებლის პროფესიული მომზადების, პროფესიული განვითარების, პრაქტიკული საქმიანობის ანალიზის, შეფასებისა და პროფესიული წარმატებების დამადასტურებელი დოკუმენტების ერთობლიობა.

ი. სადემონსტრაციო გაკვეთილი – მაძიებლის მიერ ჩატარებული გაკვეთილი, რომლის მიზანია მაძიებლის პროფესიული ცოდნისა და პედაგოგიური უნარ-ჩვევების დემონსტრირება.

კ. სამოდელო გაკვეთილი – მენტორის მიერ ჩატარებული გაკვეთილი, რომლის მიზანია მენტორის პროფესიული ცოდნისა და პედაგოგიური უნარ-ჩვევების დემონსტრირება. მენტორის სამოდელო გაკვეთილზე დასწრება მაძიებლისთვის სავალდებულოა.

## თავი II. მაძიებელთა რეგისტრაციის პროცედურა

### მუხლი 4. რეგისტრაცია რესურსცენტრში

1. მაძიებლად რეგისტრაცია მოიცავს რეგისტრაციას რესურსცენტრსა და ცენტრში.
2. მაძიებლობის კანდიდატი რეგისტრაციის მიზნით რესურსცენტრში წარადგენს შემდეგ დოკუმენტებს:

ა. პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლს;

ბ. უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის კანონმდებლობით დადგენილი წესით დამოწმებულ ასლს;

გ. ავტობიოგრაფიას (CV);

დ. ერთ ფოტოსურათს (ზომით 3X4);

ე. მასწავლებლობის მაძიებლის რეგისტრაციის საფასურის გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტს.

3. მაძიებლად რეგისტრაციის ვადა, რომელიც არ შეიძლება იყოს ერთ თვეზე მეტი, განისაზღვრება ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.
4. მაძიებლობის კანდიდატს უფლება აქვს რეგისტრაცია გაიაროს ნებისმიერ რესურსცენტრში.
5. რესურსცენტრი მაძიებლობის კანდიდატს ატარებს რეგისტრაციაში, თუ დოკუმენტაცია წარდგენილია ამ მუხლის მე-3 პუნქტით დადგენილ ვადაში და შეესაბამება ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრულ მოთხოვნებს.
6. თუ მაძიებლობის კანდიდატის მიერ რესურსცენტრში წარდგენილი დოკუმენტაცია არ შეესაბამება ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრულ მოთხოვნებს, რესურსცენტრი ვალდებულია განაცხადის შეტანიდან 3 დღის ვადაში დაადგინოს ხარვეზი და მაძიებლობის კანდიდატს დამატებით განუსაზღვროს 7 სამუშაო დღის ვადა ხარვეზის გამოსასწორებლად.
7. თუ მაძიებლობის კანდიდატი ამ მუხლის მე-6 პუნქტით დადგენილ ვადაში არ გამოასწორებს ხარვეზს, რესურსცენტრის წარდგინებით ცენტრი იღებს გადაწყვეტილებას დოკუმენტაციის განუხილველად დატოვების შესახებ.
8. რესურსცენტრი მაძიებლობის კანდიდატების რეგისტრაციის შესახებ მონაცემებს დოკუმენტაციის მიღების პარალელურად განათავსებს მასწავლებელთა რეგისტრაციის ელექტრონულ საინფორმაციო სისტემაში. რესურსცენტრი პასუხისმგებელია მასწავლებელთა რეგისტრაციის ელექტრონულ საინფორმაციო სისტემაში მის მიერ შეყვანილი მაძიებლობის კანდიდატების მონაცემების სისწორეზე.

9. ამ მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე განსაზღვრული რეგისტრაციის ვადის დასრულებიდან 10 დღის ვადაში რესურსცენტრი უზრუნველყოფს მასწავლებელთა რეგისტრაციის ელექტრონულ საინფორმაციო სისტემაში მაძიებლობის კანდიდატების მონაცემების სრულად შეყვანას.
10. რესურსცენტრის მიერ რეგისტრირებული მაძიებლობის კანდიდატების მონაცემების გადამოწმებისა და მასწავლებელთა რეგისტრაციის ელექტრონულ საინფორმაციო სისტემაში შეყვანილი მონაცემების სისწორის დადგენის მიზნით, ცენტრი, რეგისტრაციის ვადის გამოცხადებიდან ყოველ 5 დღეში, უზრუნველყოფს რესურს-ცენტრიდან მაძიებლობის კანდიდატების თაობაზე ინფორმაციისა და ამ მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტაციის მიღებას.

**მუხლი 5. რეგისტრაცია ცენტრში**

1. ცენტრი, მასწავლებლობის მაძიებლებად რეგისტრაციაში ატარებს მაძიებლობის კანდიდატებს რესურსცენტრში რეგისტრაციის ვადის დასრულებიდან არაუმეტეს ერთი თვის ვადაში.
2. ცენტრი უზრუნველყოფს მასწავლებელთა რეგისტრაციის ელექტრონულ საინფორმაციო სისტემაში მაძიებელთა თაობაზე შეყვანილი მონაცემების პერიოდულ გადამოწმებასა და განახლებას.
3. მასწავლებელთა რეგისტრაციის ელექტრონულ საინფორმაციო სისტემაში შეყვანილი მასწავლებლობის მაძიებლების მონაცემები ხელმისაწვდომია ცენტრის და რესურს-ცენტრის უფლებამოსილი თანამშრომლებისთვის.

**მუხლი 6. მაძიებელთა ვაკანსიების რეგისტრაცია**

1. მაძიებლის ვაკანსიის არსებობის შემთხვევაში, სკოლა აქვეყნებს ინფორმაციას ცენტრის ვაკანსიების ვებ-გვერდზე www.pedagogi.ge.
2. სკოლა უფლებამოსილია გამოაქვეყნოს ინფორმაცია მაძიებლის ვაკანსიის შესახებ, თუ სკოლას ჰყავს შესაბამისი საგნის/საგნობრივი ჯგუფის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით სერტიფიცირებული მასწავლებელი – მენტორი.
3. ცენტრი ვალდებულია მიაწოდოს ყველა სკოლას ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტით დამტკიცებული ინსტრუქცია მაძიებლის ვაკანსიის გამოქვეყნების შესახებ.

## თავი III. სკოლის უფლება-მოვალეობები

**მუხლი 7. სკოლის უფლება-მოვალეობები მაძიებელთა შერჩევის პროცესში და მაძიებლობის პერიოდის განმავლობაში**

1. მაძიებელთა შერჩევის მიზნით სკოლის ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი პირის გადაწყვეტილებით იქმნება შესარჩევი კომისია (შემდგომში – კომისია), რომლის შემადგენლობაში შედის სკოლის ხელმძღვანელი, სამეურვეო საბჭოსა და პედაგოგიური საბჭოს თავმჯდომარე (ასეთის არსებობის შემთხვევაში), შესაბამისი რესურსცენტრის წარმომადგენელი და იმ საგნის/საგნობრივი ჯგუფის მენტორი, რა საგანშიც მაძიებელი გაივლის მაძიებლობის პერიოდს.
2. კომისიის ფუნქციაში შედის მაძიებელთა შესარჩევი კონკურსის გამოცხადება და ჩატარება. კომისია განსაზღვრავს მაძიებელთა შესარჩევი კონკურსის შინაარსსა და ფორმას ცენტრის რეკომენდაციის საფუძველზე.
3. კომისია თავისი შემადგენლობიდან ირჩევს კომისიის თავმჯდომარესა და მდივანს.
4. კომისია გადაწყვეტილებებს იღებს სხდომაზე. კომისია იკრიბება წელიწადში არანაკლებ ერთხელ. კომისიის სხდომას იწვევს კომისიის თავმჯდომარე საკუთარი ინიციატივით, სკოლის მასწავლებლის ან/და კომისიის წევრის წერილობითი მოთხოვნის შემთხვევაში.
5. კომისიის სხდომებს უძღვება კომისიის თავმჯდომარე, ხოლო მოვალეობის შესრულების შეუძლებლობის შემთხვევაში, თავმჯდომარის ფუნქციებს ასრულებს კომისიის ერთ-ერთი წევრი.
6. კომისია უფლებამოსილია განიხილოს საკითხი, თუ კომისიის სხდომას ესწრება წევრთა სრული შემადგენლობის უმრავლესობა. კომისიის გადაწყვეტილებები მიიღება დამსწრეთა უმრავლესობით. ხმების გაყოფის შემთხვევაში გადამწყვეტია მენტორის ხმა.
7. კომისიის სხდომის შესახებ დგება ოქმი, რომელიც ფორმდება კომისიის სხდომის ჩატარებიდან არა-

უგვიანეს მომდევნო დღისა კომისიის თავმჯდომარისა და კომისიის მდივნის ხელმოწერებით და იგზავნება ცენტრში. კომისიის თავმჯდომარე უზრუნველყოფს ოქმის წარდგენას ცენტრში ოქმის გაფორმებიდან 5 დღის ვადაში.

8. მაძიებლის პროფესიული საქმიანობის ხელშეწყობის მიზნით, კომისია იკრიბება სემესტრში ორჯერ, ესწრება და განიხილავს მაძიებლის მიერ ან/და მაძიებლის თანამონაწილეობით ჩატარებულ გაკვეთილს და შეიმუშავებს შესაბამის რეკომენდაციებს.
9. ყოველი სემესტრის ბოლოს, კომისია ატარებს სამუშაო შეხვედრას მაძიებელთან. მაძიებელი წარმოადგენს, ხოლო კომისია განიხილავს და აჯამებს მაძიებლის პორტფოლიოს.

**მუხლი 8. სკოლის ხელმძღვანელის ფუნქციები მაძიებლობის პერიოდის განმავლობაში**

1. სკოლის ხელმძღვანელი:

ა. ქმნის მაძიებლობის პროცესის ხელშემწყობ ყველა საჭირო პირობას.

ბ. უზრუნველყოფს ამ წესის მე-7 მუხლით გათვალისწინებული მაძიებელთა შესარჩევად საჭირო ღონისძიებების განხორციელებას.

გ. ეცნობა მაძიებელს მაძიებლობის პერიოდის დასაწყისში.

დ. მოადგილის/კათედრის ხელმძღვანელის ან/და შესაბამისი საგნის სხვა მასწავლებლის მონაწილეობით, მონიტორინგს უწევს მაძიებლის პედაგოგიურ საქმიანობას სკოლაში.

ე. ესწრება მაძიებლის სადემონსტრაციო გაკვეთილებს და აძლევს შესაბამის რჩევებს მაძიებლის პედაგოგიური საქმიანობის გაუმჯობესების მიზნით.

ვ. ეცნობა მაძიებლის სემესტრულ ანგარიშებს, საჭიროების შემთხვევაში, ატარებს მასთან სამუშაო შეხვედრებს.

2. მაძიებლობის პერიოდის დასრულების შემდეგ, სკოლის ხელმძღვანელი ცენტრს წარუდგენს დოკუმენტს მასწავლებლობის მაძიებლის მასწავლებლის პროფესიულ სტანდარტთან და მასწავლებლის პროფესიული ეთიკის კოდექსთან შესაბამისობის შესახებ. დოკუმენტი შეიძლება შეიცავდეს ერთ-ერთ შემდეგ გადაწყვეტილებას:

ა. მასწავლებლობის მაძიებელმა წარმატებით გაიარა მაძიებლობის პერიოდი;

ბ. მასწავლებლობის მაძიებელმა ვერ გაიარა მაძიებლობის პერიოდი.

3. საჯარო სკოლის დირექტორი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ფორმით ადგენს ამ მუხლის მე-2 პუნქტში მითითებულ დოკუმენტს. კერძო სკოლის ხელმძღვანელმა უნდა შეადგინოს დოკუმენტი სკოლის სატიტულო ფურცელზე.
4. სკოლის ხელმძღვანელის მიერ შედგენილი დოკუმენტის დამოწმებული ასლი მასწავლებლობის მაძიებლის მასწავლებლის პროფესიულ სტანდარტთან და მასწავლებლის პროფესიული ეთიკის კოდექსთან შესაბამისობის შესახებ ეგზავნება ცენტრს დოკუმენტის შედგენიდან 5 დღის ვადაში.

## თავი IV. მაძიებლობის პერიოდი

**მუხლი 9. მენტორი**

1. მენტორი შეიძლება იყოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით სერტიფიცირებული მასწავლებელი, რომელსაც გააჩნია პედაგოგად მუშაობის არანაკლებ სამწლიანი გამოცდილება და ასწავლის ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ საგანს/საგნობრივ ჯგუფს სკოლაში.
2. მენტორი ხელმძღვანელობს და კოორდინირებას უწევს მასწავლებლობის მაძიებლის პედაგოგიურ საქმიანობას ერთწლიანი მაძიებლობის პერიოდის განმავლობაში.
3. მენტორი ხელმძღვანელობს არაუმეტეს 4 მაძიებელს.
4. მენტორის საქმიანობა ანაზღაურდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
5. მენტორი შეუდგება ამ წესის მე-10 მუხლით განსაზღვრული ფუნქციების შესრულებას ცენტრთან დადებული ხელშეკრულების საფუძველზე. ხელშეკრულებით შეიძლება განისაზღვროს მენტორის დამატებითი ფუნქციები, რომელთა გათვალისწინება არ არის აკრძალული საქართველოს კანონმდებლობით.
6. ხელშეკრულების დადების მიზნით, მენტორობის მსურველი ვალდებულია წარუდგინოს ცენტრს მასწავლებლის სერტიფიკატის ასლი, პედაგოგიური მუშაობის სტაჟისა და მოქმედი მასწავლებლის სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტი.

**მუხლი 10. მენტორის ფუნქციები**

1. მენტორი:

ა. ხელმძღვანელობს და წარმართავს მაძიებლობის პროცესს.

ბ. მაძიებლობის პერიოდის დასაწყისში წარუდგენს მაძიებელს სკოლის ხელმძღვანელობას და მასწავლებლებს.

გ. განსაზღვრავს მაძიებლის ინდივიდუალურ საჭიროებებს და მაძიებელთან თანამშრომლობით ქმნის მასწავლებლობის მაძიებლის ინდივიდუალურ პროგრამას, რომელიც აღწერს მაძიებლობის პერიოდის გავლის ეტაპებს, მაძიებლისა და მენტორის მიერ განსახორციელებელი ღონისძიებების ჩამონათვალს, შესრულების პერიოდულობასა და მაძიებლობის პერიოდის გავლის შედეგად მისაღწევ შედეგებს.

დ. ატარებს თემატურ და მიზნობრივ კონსულტაციებს მაძიებელთან, უზიარებს მას პროფესიულ გამოცდილებას და აძლევს სათანადო რჩევებს მაძიებლის საჭიროებებიდან გამომდინარე.

ე. ხელმძღვანელობს მაძიებლის მიერ საგაკვეთილო, სააღმზრდელო და დამატებით ინდივიდუალურ მუშაობას.

ვ. ხელს უწყობს მაძიებელს პროფესიული საქმიანობის წარმართვაში, მოტივაციის ამაღლებასა და სასკოლო ღონისძიებებში მონაწილეობის მისაღებად.

ზ. მონაწილეობს მაძიებლის მიერ სადემონსტრაციო გაკვეთილისა და მაძიებლის პორტფოლიოს მომზადებაში.

თ. ესწრება და მაძიებელთან ერთად აანალიზებს სადემონსტრაციო გაკვეთილს.

ი. აფასებს მაძიებლის საქმიანობას ყოველ სემესტრსა და სასწავლო წლის ბოლოს, ამ წესის მე-13 მუხლის შესაბამისად.

კ. რეგულარულად მიმართავს თვითშეფასებას და მონაწილეობს ცენტრის მიერ ორგანიზებულ გამოკითხვებსა და კვლევებში, აგრეთვე თანამშრომლობს ცენტრის წარმომადგენელთან მაძიებლობის პერიოდის მონიტორინგის განმავლობაში.

ლ. ქმნის მენტორის პორტფოლიოს და ზრუნავს საკუთარ პროფესიულ განვითარებაზე.

მ. იცავს მასწავლებლის პროფესიულ სტანდარტსა და მასწავლებლის პროფესიული ეთიკის კოდექსს.

**მუხლი 11. მაძიებელი**

1. ამ წესის შესაბამისად ცენტრში რეგისტრირებული მაძიებელი, რომელიც ასწავლის სკოლაში, სარგებლობს „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით მასწავლებლისათვის მინიჭებული ყველა უფლებითა და შეღავათით, გარდა მასწავლებლის შრომის ანაზღაურების კანონით დადგენილი მინიმალური ოდენობის მიღებისა და საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს არჩევნებში მონაწილეობის უფლებებისა.

2. მაძიებლობის ერთწლიანი პერიოდის განმავლობაში, მაძიებელი ეწევა პედაგოგიურ საქმიანობას მასწავლებლობის მაძიებლის ინდივიდუალური პროგრამის საფუძველზე.

3. მაძიებელი არ შეიძლება იყოს ნასამართლობის მქონე პირი.

**მუხლი 12. მაძიებლის ფუნქციები**

1. მაძიებელი:

ა. მაძიებლობის პერიოდის დასაწყისში ეცნობა მენტორს, სკოლის ხელმძღვანელს, დირექციასა და მასწავლებლებს.

ბ. თანამშრომლობს მენტორთან მაძიებლის ინდივიდუალური საჭიროებების განსაზღვრასა და ინდივიდუალური პროგრამის შემუშავებაში. მაძიებელი კეთილსინდისიერად ასრულებს ინდივიდუალური პროგრამით გათვალისწინებულ ღონისძიებებს.

გ. ესწრება და აკვირდება მენტორისა და სხვა მასწავლებლის მიერ ჩატარებულ გაკვეთილებს, მონაწილეობს გაკვეთილებისა და პროფესიული ლიტერატურის განხილვაში.

დ. გეგმავს და ატარებს სადემონსტრაციო გაკვეთილებს, ითვალისწინებს მენტორის რეკომენდაციებს და ზრუნავს საკუთარი მოტივაციის ამაღლებაზე.

ე. ჩართულია მოსწავლეებთან საგაკვეთილო, სააღმზრდელო და დამატებით ინდივიდუალურ მუშაობასა და სასკოლო ღონისძიებებში.

ვ. შეიმუშავებს მაძიებლის სემესტრულ ანგარიშს და წარუდგენს მენტორს.

ზ. რეგულარულად მიმართავს თვითშეფასებას და მონაწილეობს ცენტრის მიერ ორგანიზებულ გამოკითხვებსა და კვლევებში, აგრეთვე თანამშრომლობს ცენტრის წარმომადგენელთან მაძიებლობის პერიოდის მონიტორინგის განმავლობაში.

თ. ქმნის მაძიებლის პორტფოლიოს და ზრუნავს საკუთარ პროფესიულ განვითარებაზე.

ი. იცავს მასწავლებლის პროფესიულ სტანდარტსა და მასწავლებლის პროფესიული ეთიკის კოდექსს.

**მუხლი 13. მაძიებლის შეფასება**

1. მენტორი ახორციელებს მაძიებლის საქმიანობის მიმდინარე, შუალედურ და საბოლოო შეფასებას.
2. მიმდინარე და შუალედური შეფასება მოიცავს მაძიებლის საქმიანობის პერიოდულ მონიტორინგსა და მაძიებლის პორტფოლიოს ანალიზს.
3. საბოლოო შეფასება გულისხმობს მენტორის მიერ ერთწლიანი მაძიებლობის პერიოდის, მაძიებლის საქმიანობისა და მაძიებლის მიერ ჩატარებული შემაჯამებელი სადემონსტრაციო გაკვეთილის შეფასებას.
4. მენტორი დადგენილი ფორმით შევსებულ მიმდინარე, შუალედურ და საბოლოო ანგარიშებს წარუდგენს ცენტრს სემესტრის დასრულებიდან 10 (ათი) დღის ვადაში.
5. ცენტრის დირექტორი ინდივიდუალური ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტით ამტკიცებს მიმდინარე, შუალედური და საბოლოო ანგარიშების ფორმებს, აგრეთვე მაძიებლის სადემონსტრაციო გაკვეთილზე დაკვირვების ფორმას.

## თავი V. ცენტრის უფლება-მოვალეობები მაძიებლობის პერიოდის განმავლობაში

**მუხლი 14. ცენტრის მიერ მაძიებლობის პერიოდის მონიტორინგი და ხარისხის უზრუნველყოფა**

1. მაძიებლობის პერიოდის ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით, ცენტრი ახორციელებს პროგრამის სისტემატურ მონიტორინგს.
2. მონიტორინგის ფორმა, შინაარსი და პერიოდულობა განისაზღვრება ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტით.
3. ყოველ სემესტრში, მაძიებლობის პროცესის მონიტორინგისა და შეფასების მიზნით, ცენტრის უფლებამოსილი წარმომადგენლები ახორციელებენ ადგილზე ვიზიტს სკოლებში, ესწრებიან მენტორისა და მაძიებლის მიერ ჩატარებულ გაკვეთილებს, ატარებენ სამუშაო შეხვედრებს მაძიებლობის პროცესში ჩართულ პირებთან და შეიმუშავებენ რეკომენდაციებს მაძიებლის პედაგოგიური საქმიანობის გაუმჯობესების მიზნით.
4. მაძიებლობის პროცესის მონიტორინგის შედეგად გამოვლენილი დარღვევების შემთხვევაში, ცენტრის უფლებამოსილი წარმომადგენელი წერილობითი ფორმით შეიმუშავებს რეკომენდაციებს დარღვევათა აღმოფხვრის ხელშეწყობის მიზნით. რეკომენდაციები წარედგინება სკოლის ხელმძღვანელს, მენტორსა და მაძიებელს.
5. ცენტრი ატარებს მაძიებლებისა და მენტორების თემატურ ტრენინგებს, რეგულარულ გამოკითხვასა და კვლევებს.

## თავი VI. გარდამავალი დებულებები

**მუხლი 15. 2010-2011 სასწავლო წელს მაძიებლობაზე უფლებამოსილი პირები**

1. ცენტრი მაძიებლად რეგისტრაციაში გაატარებს მაძიებლობის კანდიდატს, რომელიც აკმაყოფილებს „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 61-ე მუხლის მე-3 პუნქტით დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს.
2. მაძიებლობის კანდიდატს უფლება აქვს რეგისტრაცია გაიაროს ქ. თბილისის, ქ. გორის, ქ. თელავის, ქ. ახალციხის, ქ. ქუთაისის, ქ. ზუგდიდისა და ქ. ბათუმის რესურსცენტრებში.
3. მაძიებლობის გავლა შესაძლებელია ქ. თბილისის, ქ. გორის, ქ. თელავის, ქ. ახალციხის, ქ. ქუთაისის, ქ. ზუგდიდისა და ქ. ბათუმის საჯარო და კერძო სკოლებში, მხოლოდ შემდეგ საგნებში: ქართული ენა და ლიტერატურა, მათემატიკა, უცხო ენები.
4. მენტორი შეიძლება იყოს არანაკლებ სამწლიანი პედაგოგიური გამოცდილების მქონე მოქმედი მასწავლებელი, რომელსაც მიღებული აქვს უმაღლესი ქულა 2010 წლის მასწავლებელთა სასერტიფიკაციო გამოცდაზე.
5. მენტორობის მსურველი ამ წესის მე-9 მუხლის მე-6 პუნქტით დადგენილი დოკუმენტების გარდა, ცენტრს დამატებით წარუდგენს 2010 წლის სასერტიფიკაციო გამოცდაზე მიღებული უმაღლესი ქულის დამადასტურებელ დოკუმენტს.
6. ცენტრი უფლებამოსილია ჩაუტაროს გასაუბრება იმ მენტორობის მსურველებს, რომლებიც აკმაყოფილებენ ამ მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტებით განსაზღვრულ ყველა მოთხოვნას და ასწავლიან ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ ერთსა და იმავე საგანს სკოლაში.
7. 2008-2010 წლის მასწავლებლობის მაძიებლობის საპილოტე პროექტის მონაწილე მაძიებლებს მაძიებლობის პერიოდი ჩაეთვლებათ გავლილად და მათ უფლება აქვთ გავიდნენ სასერტიფიკაციო გამოცდაზე.